


# საგზიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 19 მარტი 2005 №60 (2383)

ფასი 50 თეთრი




## ერსუნ სოჯან 24

თურქეთის  
სათბილისო  
შემაღბენლობა  
დასასახელს



## თბილისი ქველ დადაქალაქი

ხვალ  
საქართველოს  
ჩემპიონატის  
25-ე ტურის



## აფრო თავსრილობა წმინდა ეტიენის მეგობარი



# ევროპადონინა!

ოცი წლის უმღებ, ეიზელიდან უორს



საქართველოს  
სპორტული გაზეთი

REUTERS ნოზოვან

„ეიზელის“ ტრაგედიიდან ოცი წლის თავზე „ლივერპული“ და „იუვენტუსი“ ისევ ხვდებიან ერთმანეთს.

მილანური დერბი, იგივე „მადონინა“, ამ სეზონში კიდევ ორჯერ ანერვიულებს „მილანისა“ და „ინტერის“ გულშემატკივრებს.

ინგლისის ჯერაც მოქმედი ჩემპიონის დამარცხების მერე მიუნხენის „ბაიერნს“ ინგლისის ვინძლო მომავალი ჩემპიონი „ჩელსი“ ელის.

ამ წყვილების ფონზე კი რამდენადმე უსახურად ჩანს „ლიონისა“ და „პსვ ეინდჰოვენის“ დაპირისპირება.

აი, ასეთია, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წილისყრა, რომელიც გუშინ უეფას მთავარ ოფისში გაიმართა და სადაც გუშინვე შეადგინეს ნახევარფინალისტთა ბადე.

ერთი სიტყვით, ლიგაში უმთავრესი მატჩების ჯერიც დადგა.

### პირველი მატჩები

5 აპრილი

ლივერპული (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია)

ლიონი (საფრანგეთი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

საპასუსო მატჩები გაიმართება 13 აპრილს

6 აპრილი

მილანი (იტალია) — ინტერი (იტალია)

ჩელსი (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია)

საპასუსო მატჩები გაიმართება 12 აპრილს



ნახევარფინალის წილისყრა

ჩელსი *პ* ბაიერნი — ლივერპული *პ* იუვენტუსი

პირველი მატჩები — 26 აპრილს, საპასუსოები — 4 მაისს

მილანი *პ* ინტერი — ლიონი *პ* პსვ ეინდჰოვენი

პირველი მატჩები — 27 აპრილს, საპასუსოები — 3 მაისს



# ლომია ხიკიუი უამთხვევით ითაბაზა



პაპია დარეჯანიძის ფოტო

საქართველოს ნაკრებს საბერძნეთ-თურქეთთან მატჩები კარს მოადგა და, ცხადია, ალენ ჟირესის კრებულის ყველა ფეხბურთელისკენ გაათმავებული გულისყური გვაქვს. სამწუხაროდ, ჩვენი ლეგიონერები მთლად გადასარევე ფორმაში ვერ არიან. ღვთის მადლით, ტრავმა არავის აქვს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა კი ბევრს აკლია. რუსეთის პირველი დივიზიონი სწორედ მარტის ბოლო რიცხვებში იწყება, მანამდე კი მიწოდება ლომიას და გოგითა გოგუას „ხიკის“ აუარება ტესტ-მატჩი მოუფრთვდათ, რუსეთის თასზეც ვლადიკავკაზის „ალანიას“ დამაჯერებლად მოუგეს.

ლომია იოსებ კლუბთან მხოლოდ ერთ მატჩში, ისიც შეცვლაზე ითამაშა, თუმცა საქართველოს ნაკრების მეკარის სათადარიგობას სხვა მიზეზი ჰქონია — გიორგი იმედიანი ჩამოდის თბილისში, მაგრამ უოფლოდ მოგების ილუზია არა აქვს...

— ბოლო მატჩებში „ხიკის“ კარში როგორ იდგა. იგი უკვე ძირითად მეკარედ შეიგულებს?

— საქმე ისაა, რომ მარტის ბოლოს ჩემპიონატი გეწყობა, მე კი ამ დროს ნაკრებში ვიქნები და როგორც სათამაშო პრაქტიკა აქედანვე მისცეს. „ალანიასთან“ არ აბრუნდნენ ჩემს დაყენებას, მაგრამ როგორც ტრავმა მიიღო და მეორე ტაიმში მე ვითამაშე.

— ესე იგი, „ხიკის“ მთავარი მეკარედ შენ ითვლები?

— დიახ. მწვერთელმა პაველ იაკოვნიკომ ასე მითხრა და ამხანაგურ მატჩებშიც ძირითადი მე ვითამაშობდი.

— გოგითა გოგუა „ალანიასთან“ არ გამოჩენილა. არადა, „ხიკის“ პრეზიდენტმა მასზე თქვა, ნამდვილი გატუზო ვიყიდე...

— რამდენადაც ვიცი, გოგუა განაცხადში ვერ არ შეუყვანიათ. ისე კი, ვარჯიშებზეც და რამდენიმე ამ-

ხანაგურ მატჩშიც ისე ღონივრად გამოიყურება, რომ ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს.

— „ხიკის“ რუსულ პრემიერ-ლიგაში გადასვლა არ უნდა გაუჭირდეს. კონკურენტები ვინ გეყოლებათ?

— მთლად ისეც არ არის, რომ არ გაგვიჭირდეს. „ხიკი“ ახალგაზრდული გუნდია, უმეტესად 20-21 წლის ბიჭები გვყავს და, მაგალითად მე, 24 წლისა, ერთ-ერთ ვეტერანადაც კი ვითვლები. ცხადია, პრემიერლიგაში გადასვლა გვიწინდებს და ფავორიტებიც ვართ, თუმცა ჩვენს გარდა ასეთი კიდევ 4-5 გუნდია.

— „ხიკიდან“ შენს წასვლაზე ხშირად ლაპარაკობდნენ. საბოლოოდ მანდ დარჩენა გადაწყვიტე?

— ასე გამოდის. ახლა უკვე გვიანია სადმე წასვლა და, სიმართლე გითხრათ, რეალური წინადადებები არც მქონია. ისე, აქ, პირველ დივი-

ზიონშიც არიან კარგი გუნდები, მაყურებელიც უხვად დადის სტადიონზე და მთლად უემაყოფილოც არ ვარ. რაც მთავარია, უქმად არ ვიქნები, მუდმივად თამაში მომიწევს.

— ესე იგი, სანაკრებო მატჩებს კარგ ფორმაში ხვდები?

— ასეა. განწყობასაც არ ვუჩივი. ეგაა, ძალიან რთული თამაშები გველის. ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს მესამე პრიზიორს შეფასება რაღად უნდა, თანაც საბერძნეთსაც და თურქეთსაც მოგება სჭირდებათ, მაქსიმუმ უნდა გავაკეთოთ. ექვსი ქულა კარგია, მაგრამ ოთხზეც სიამოვნებით დავთანხმდებოდი. უფრო ბერძნებთან თამაში იქნება გადამწყვეტი — ჯერ ერთი, ისინი თურქებზე ძლიერები არიან და მეორეც, რეჰაგელის გუნდს თუ მოვუგებთ, ხომ წარმოვიდგენიათ, თურქებთან, როგორი თინით გავალთ მიწოდებუნი...

ილია ნანოზაფილი

## ქართველებს ბოლი გაუკვირდათ

ჩვენ ჩვენი ჩემპიონატი ვიკითხოთ, თორემ აზერბაიჯანში მატჩებზე ლამის გადატენილია ტრიბუნები, მინდვრებიც საქართველოსთან შედარებით ხვეწილია და კლუბებსაც ფინანსურად არა უშავთ. ამიტომაცაა, აზერულ ჩემპიონატში 63 ლეგიონერი რომ ბურთაობს, მაგრამ ჩვენ ჩვენებურებისა ვიკითხოთ...

გასული 23-ე ტური გამოტოვა ალექსანდრე გოგობერიშვილის და მერაბ ძოძუაშვილის „ბაკი“, რომელიც მეოთხე ადგილზეა და ლიდერ „ყარაბახს“ 8 ქულით ჩამორჩება. ყარაბახელებს გიორგი ადამიას „ნე-

ფთი“ მისდევს, რომელმაც სტუმრად „ბაკილის“ ყურბან ყურბანოვის (2) და ზაურ ტაგიზადეს გოლებით 3:0 აჯობა. გიორგი ადამია კი კვლავ უგოლოდ დამერა.

აზერულ ტურში მხოლოდ ერთმა ქართველმა, „განჯას“ ფორვარდმა გოგა ბერაიამ გაიტანა, რითაც თავისიანებს ქულა გადაურჩინა (1:1), მეტოქე „ყარაბახი“ კი მეხუთე ადგილზე დააქვეითა.

გუმინწინ კი სათასო მეოთხედ-ფინალების საპასუხო მატჩები გაიმართა და ორმა „ქართულმა“ გუნდმა შემდეგ ეტაპზე გააღწია. „ბაკი“ გასულით 3:1-ს საშინაო 1:0-იც

მაიყოლა რაფაელ ამირბაკოვის გოლით. მოძუაშვილმაც და გოგობერიშვილმაც სასტარტოში ითამაშეს, ხოლო „ბაკის“ ბრაზილიელებს — სერჟინოსა და ლენდრო გომესს უხვად მომენტები გაუჩნიათ. ადამიას „ნეფთჩი“ კი „ინტერი“ გამოითიშა, ორივე მატჩი 0:0 დასრულდა და „მენავთობებს“ პენალტების სერიაში 4:3 უმარჯვიათ.

ნახევარფინალში „ბაკი“ „არაზს“, „ნეფთჩი“ კი „ხაზარს“ დაუპირისპირდება და ეგებ, ფინალში ქართველების დაპირისპირებაც შედგეს.

ილია ნანოზაფილი



## ერსუნ სოჯას 24

თარჯიტი

2002 წლის მუნდიალის ბრინჯაოსანი და მიმდინარე შესარჩევში ჭკად მოთამაშე თურქეთის ნაკრები 26 მარტს სტამბულში ალბანეთს მასპინძლობს, 30-ში კი საქართველოსთან ელის. ჯახი. თურქთა თავკაცმა ერსუნ ინალმა სამმატჩებოდ 24-კაციანი სია გუმინ დაასახელა, რომელშიც მხოლოდ ოთხი ლეგიონერი მოხვდა: ნახევარდაცვის ლიდერი ემრე მილანის „ინტერიდან“, ბერლინის „ჰერტას“ გამთამაშებელი ბაშურაქი და ძმები — ჰალილ და ჰამიტ ალტინტოპები, რომლებიც ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ღონივრად თამაშობენ.

ინალს სამშობლოში მუდმივად აკრიტიკებენ და ამ ორი მატჩის ჩაგდების შემთხვევაში ალბათ მიამბრძანებენ კიდევ ნაკრებიდან. მან კვლავ არ გამოიძახა „ბოსფორულ ბუღად“ ცნობილი მეგოლე ჰაკან შუქური, სიაში ასევე არ არიან ტრავმირებული უმით დავალა, ნიჰათ კახვეჩი და ჰასან შაში.

თურქებმა მიმდინარე შესარჩევში 5 თამაშიდან 6 ქულა მოაგროვეს — მხოლოდ ყაზახეთს მოუგეს 4:0, ფრედ ითამაშეს საქართველოსთან (1:1), დანიასთან (1:1) და საბერძნეთთან (0:0), ბოლო მატ-

ჩში კი შინ უკრაინასთან 0:3 განადგურდნენ.

აქვე გეტყვით, რომ საქართველო—თურქეთის ნორვეგიულ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება, მთავარი არბიტრი ცნობილი ტერიე ჰაუგე იქნება.

მეპარამები: რუშო რეჯბერი (ფენერბაჰჩე), ომერ ჩეტკანი (ვენჩლერი), ვოლქან დემირელი (ფენერბაჰჩე);

მცვლელნი: უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ბიულენთ ქორქმაზი (გალათასარაი), სერვეტ ჩეთინი (ფენერბაჰჩე), ტოლგა სეიპანი (ტრაბზონი), ორჰან აკი (გალათასარაი), ჩიჰან ჰასფოლათი (გალათასარაი), იბრაჰიმ ტორამანი (მეშქიქთაში);

ნახევარმცვლელნი: ვიოკენიზ კარაღენიზი (ტრაბზონი), ოკან ბურუჩი (მეშქიქთაში), ილდირაი ბაშურაქი (ჰერტა, გერმანია), ემრე ბელოზოდოლი (ინტერი, იტალია), ჰუსეინ ჩიმშირი (ტრაბზონი), სერქან ბაღჩი (ფენერბაჰჩე), აიჰან აქმანი (გალათასარაი), კორაი აენი (მეშქიქთაში);

თავმჯდომელები: თუნქაი სანლი (ფენერბაჰჩე), ფათიჰ ტაქე (ტრაბზონი), ჰამიტ ალტინტოპი (შალკე, გერმანია), ნეჯათი ატესი (გალათასარაი), ერსუნ მარტინი (დენიზლი), ჰალილ ალტინტოპი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია).

ილია ნანოზაფილი

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ მამუკა გუგეშაშვილს მამის ბიჭიკო გუგეშაშვილის გარდაიცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი „თბილისი“ და აკადემია „ოლიმპი“ სამძიმარს უცხადებენ მამუკა გუგეშაშვილს მამის ბიჭიკო გუგეშაშვილის გარდაიცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგა სამძიმარს უცხადებს „თბილისის“ ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილს მამის ბიჭიკო გუგეშაშვილის გარდაიცვალების გამო

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი გაიოზ ჯიჯელავა და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს



რუბრიკა „თვალ-თვალი“ ახალ ფოტოს ვთავაზობთ. ამ ფოტოზე ერთი შეხედვით სათვალთვლო არაფერია, მაგრამ ამა კარგად დააკვირდით, დაფიქრდით და გვიპასუხეთ: ვის ვის ართმევს ხელს? ეს ველაფერი კი „სარბილის“ ფოტორეპორტიორ მადრი კეთილადის ჩაჩხაკუნებულია.





# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა  
მეორე ეტაპი

25 ტური ანონსი

## თბილისი კვლ დადაქალაქში



საბურთალოს „ლოკომოტივი“ — „დინამო“ ლევან მელქაძის ბენეფისად იქცა დინამოელთა ფორვარდმა ოთხი გოლი გაიტანა

სანაკრებო თამაშებამდე ბოლო, 25-ე ტური საკმაოდ ბევრ სიურპრიზს გვიპირდება. ნყვილები ისეთია, რომ ინტრიგა არც ერთ მატჩს არ აკლია. განსაკუთრებით კი, ბუნებრივია, „დინამო“ — „ლოკომოტივის“ და „ვიტ ჯორჯიას“ — „თბილისის“ გამოვარჩევით.

სად, სად და თბილისსა და მცხეთაში მართლა ძალიან დაცხება, თუმცა არც ბოლისსა და ბათუმში ველით ნაკლებ ამბებს...

თბილისი. 20 მარტი. 14 საათი. ოლიმპი

### დინამო — ლოკომოტივი

მსაჯეები: ა. კრიჭავჭავაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედი); მ. მაღალურაძე (თბილისი); ინსპექტორი: ნ. კაკულია

დრო იყო, „დინამო“ „ლოკომოტივის“ გოლს ვერ უტანდა. ეს უსიამოვნო, ორწლიანი ნაცნობი შარშან გია გეგუჩაძის „დინამოში“ დაამსხვრია, როცა რკინიგზელებს 5:2 მოუგო. იმ მატჩში ლევან მელქაძემ პოკერი გააკეთა და ალბათ დღესაც არ დააკლებს ცდას გოლის გა-

სატანად. მელქაძემ მიკროტრაუმის გამო წინა ტურში ფოთის „კოლხეთთან“ მატჩი გამოტოვა, თუმცა სალოკომოტივოდ წესით ჯანზე უნდა იყოს.

საინტერესოა ისიც, რომ ეს მატჩი მეორეა დინამოელთა დროებითი თავკაცისთვის — ხეჩა ქასრაშვილი

სწორედ ორი თამაშით დანიშნეს მთავარ მწვრთნელად და აქედან ერთი გამოცდა უკვე ჩაბარებულია.

თავის მხრივ, „ლოკომოტივმა“ ბოლოს „ცხრილის მეზობელ“ „ვიტ ჯორჯიას“ 1:0 მოუგო და მშვენიერ ხასიათზეა. ერთი სიტყვით, კარგი ჯახი უნდა გამოდგეს.

მცხეთა. 20 მარტი. 14 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — თბილისი

მსაჯეები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი); ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შილაკაძე (თბილისი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ჩემპიონატის ლიდერი მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ — რა მოხდება მცხეთაში, მხელი სათქმელია, მაგრამ დიდი ბრძოლა რომ იქნება, ფაქტია.

„ვიტ ჯორჯიას“ ბოლო სამი ტურია, მოგება არ უნახავს და ვინძლო ნაცის გატეხვას სწორედ „თბი-

ლისთან“ ეცადოს. პერუელი სპეციალისტის, ლუის ცაკარიასის ბიჭები კი ძნელად, მაგრამ მაინც მიიწვევენ წინ და ფეხის დაცდენის უფლება არა აქვთ — მთავარ კონკურენტს „დინამოს“ ხომ ოდენ კინკლა ქულით უსწრებენ.



### სიონი — ტორაედო

მსაჯეები: ლ. ფინაშვილი; ზ. მენტეშაშვილი (ორივე თბილისი); გ. ცირცია (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ბოლისელებს ქულების განიკების უფლება აღარ აქვთ. ისიც გავითვალისწინოთ, რომ „სიონს“ „ტორაედოსთან“ თამაში ასე თუ ისე გამოსდის და დიდი შანსია, ქვეყნის სამეზბის ჩემპიონი ახლაც უქულოდ გაისტუმროს. თან „სიონს“ ბოლოხანს ფერი დაედო და საკმაოდ ჯიჯიანი ფეხბურთსაც თამაშობს. „ტორაედო“ კი... ქუთათურთა თავკაცმა ოთარ გაბელიამ ისიც კი აღიარა, ზოგიერთი ფეხბურთელი ფულს აქვთ უნდა გვიხდიდეს, „ტორაედოში“ რომ ვათამაშებოთ. რას გაიგებ...



### ბათუმი — ზესტაფონი

მსაჯეები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. სუციშვილი (დმანისი); კ. გაბრიაძე; მ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი); ინსპექტორი: ა. შალამბერიძე

ბათუმელებს სარეგულაციო მშვენიერი შანსი აქვთ — თახის მკითხველურულში სწორედ „ზესტაფონთან“ დამარცხებული აჭარლები სახიფათო ზონასთან ახლოს ტრიალებენ და ზვალ იმერლები თუ წააქციეს, მნიშვნელოვნად გამოისწორებენ სატურნირო მდგომარეობას.



### დილა — კოლხეთი

მსაჯეები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი; ა. მუშვიტი (სამივე თბილისი); ინსპექტორი: ა. დურსუნუნი

ერთი წყალწალბული მეორე წყალწალბულის წინააღმდეგ — გორში ციდან ვარსკვლავების ჩამოცვენას ველით, რომ ვთქვათ, მოგატყუებთ — ფაქტობრივად უკვე ლიგადან გაუარდნილი „დილა“ ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლებს და ალბათ ერთხელაც დამარცხდება. თუმცა ვინ იცის, ემად გორელებს არ წამოუაროთ და...

ბაბა ზალაგბერიძე

თბილისი	24	15	4	5	46:26	49
დინამო	24	15	3	6	47:23	48
ტორაედო	24	12	8	4	38:20	44
ლოკომოტივი	24	10	10	4	32:19	40
ვიტ ჯორჯია	24	10	7	7	37:28	37
ზესტაფონი	24	11	2	11	25:38	35
ბათუმი	24	6	9	9	26:22	27
კოლხეთი	24	6	5	13	23:33	23
სიონი	24	6	3	15	21:48	21
დილა	24	2	3	19	15:53	9




ლიდერი თუ ჩემპიონი: ვისი აჯობებს, მცხეთაში გამოჩნდება...

**თქვენი ინტერვიუ**

**ზურაბ სიზანიშვილთან**

«ჩინჯვარსი» გლავაო. მოტლანდია



რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ სიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო. ახალგაზრდა უცოლო კაცის გლა ზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა. მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 20 მარტამდე მოგვანოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს“ სიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.

მომხმარებელი გაუფრთხილეთ: 38 11 14. ელექტრონული ფოსტა: [Starmail@Caucasus.net](mailto:Starmail@Caucasus.net)



# სად უნდა წავიდეთ?

## ფერგიუსონი ჩაღსის სიდიადეზე ხითხითებს

ამ დღეებში მედიას ჩამოუჯდა სერ ალექს ფერგიუსონი და მრავალ საფეხბურთო საკითხზე ესაუბრა. ამათ შორის ერთ-ერთი კი „ჩელსის“ მოახლოებული ჩემპიონობა იყო, რომლის გამოც „მანჩესტერის“ ბოსმა თქვა, ევოკლები თავისი სიდიადით ვერასოდეს გაუტოლდება „იუნაიტედსო“



„აი, ჩემპიონთა ლიგის თამაშები აიღეთ. ისინი „ბარსელონას“ ხედვებზე, გაზეთების პირველ გვერდებზე კი ჩვენი და „მილანის“ ამბები ეწერა. ლაპარაკი არ უნდა, „მანჩესტერის“ მსოფლიო კლუბია და ყველგან უამრავი ფანი ჰყავს, ამერიკაშიც და აზიაშიც. „მანჩესტერი“ მეტია, ვიდრე ფეხბურთი“.

ფერგის ინტერვიუ იმითაც იყო საინტერესო, რომ მისი სამწლიანი კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს იწურება.

„მე ღარჩენა მინდა — ამბობს

მენეჯერი — ყველა ხედავს, რომ ჩვენ ახალ, დიდ გუნდს ვაშენებთ. უნიჭიერესი ყმაწვილები გვყავს და გვეგონია, რომ ამ საქმიდან კარგი რაღაც გამოვა. რატომ უნდა გადავვდგე?“

ფერგიუსონი ჯერ კიდევ 2002 წელს აპირებდა წასვლას, მაგრამ ცოლმა და მეგობრებმა დარჩენა ურჩიეს და ის სამი წელი უკვე გადის.

„ზოგჯერ თავს ვეკითხები: კიდევ გაქვს ჯანი? მაგრამ მერე დავინახე 83 წლის კაცს, რომელიც

ენერგიულად აკეთებს საქმეს და ამაზე აღარ ვფიქრობ. მე ხომ მხოლოდ 63 წლის ვარ“ — ასეთია მისი განწყობა.


მაგრამ წასვლის შემთხვევაში, ის კლუბს ურჩევს, რომ მენეჯერად მისი მარჯვენა ხელი, კარლუშ კეირუში დანიშნონ.

„რატომაც არა? მან იცის, როგორ უნდა იყოს მთავარი. ნათელი გონებისა და დიდი გამოცდილების კაცია. ტაქტიკურად ძლიერია და მრავალ ენაზეც ლაპარაკობს. ადრე ბევრთან მილაპარაკია მის შესახებ. ლუიშ ფიგუსაც კი ვესაუბრე მისი „რეალში“ მუშაობის შესახებ. ის ყველაზე მართალი კაცია „ოლდ ტრაფორდისთვის“. ახლა ბევრი კარგი პორტუგალიელი მწვრთნელი ევროპაში, მაგრამ ყველაზე კარგი ჩემს გვერდითაა“ — ასე გადაპყრა ფერგიმ თოზე მაურინიუსს.

რაც „მანჩესტერშია“, სერ ალექსი მესამედ აშენებს მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდ გუნდს. პირველმა 1994 წელს გაიბრწყინა, მეორემ 1999 წელს. ჰოდა, მენეჯერს სჯერა, რომ ახალი სიდიადე მაშინ მოვა, როცა კრისტიანო რონალდო და უეინ რუნი დაღვინდებიან.

„მე მჯერა, რომ რონალდოს შეუძლია მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს — ამბობს ფერგი — ორივე ფეხი, უზომო ნიჭი, სხვანაირი ტექნიკა, სისწრაფე აი, ასეთ ბიჭებს კავროვებ და მინდა, რომ მათ გამოცდილება შეიძინონ. რუნიც, რა თქმა უნდა. იგივეს ვიტყვი მასზეც. რუნი ახლა ერთადერთია ინგლისელთა შორის, დიად მოთამაშედ რომ ჩათვლება. ერთი სიტყვით, მალე ყველაფერი აეწყობა“.

ირაკლი ბაგჩალიძე



**იტალიური „იუვენტუსის“** ნახევარმცველი ალესიო ტაკინარდი ჩემპიონთა ლიგის ორივე მეთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ „რეალთან“ შეხვედრისას მან რონალდოს განგებ ჩაარტყა ხელი სახეში, რის შემდეგაც ბრაზილიელმა მას ფეხი დაუდო და საბოლოოდ ორივე მოედნიდან გააძევეს.

**ესპანური „ესპანოლის“** მეკარემ კარლოს კამენიმ განაცხადა, „მანჩესტერში“ თამაშზე ვოცნებობო. „მინდა, კარიერა ინგლისში გავაგრძელო. განსაკუთრებით „მანჩესტერი“ მზიბლავს. ვიცი, რომ ჩემით ისინიც დაინტერესებულნი არიან და იმედია, ოდესმე „ოლდ ტრაფორდზე“ აღმოვჩნდები“ — აღნიშნა 21 წლის კომერუნელმა.

**იტალიურმა „პალერმომ“** თავის კაპიტან ეუჯენიო კორინისთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. 34 წლის ვეტერანი სიცილიელთა რიგებში 2007 წლამდე იბურთავენ. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში „პალერმო“ ახალ შეთანხმებას ლამბერტო მაულისთანაც გააფორმებს.

**ინგლისური „ლივერპულისა“** და ფინეთის ნაკრების მცველსამი ჰიიპიათი რომის „ლაციო“ დაინტერესდა. ამის შესახებ თავად დედაქალაქელთა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ განცხადება მხარეებმა მოლაპარაკება უკვე დაიწყეს და შესაძლოა, მომავალ ზაფხულს ტრანსფერი მართლაც შედგეს.

**იტალიური „იუვენტუსის“** ბრაზილიელმა ლეგიონერმა ემერსონმა აღნიშნა, ანტონიო კასანო ჩვენ გუნდს ძალიან მოუხდებოდა და ვეცდები, იგი ტურინში გადმოსვლაზე დავეყოლიო. მოგეხსენებათ, „ბებერი ქალბატონი“ მართლაც დაინტერესებულია რომაელთა ახალგაზრდა ვარსკვლავით, რომელსაც მადრიდის „რეალიც“ უტრიალებს.

**ესპანური „ატლეტიკოს“** მცველი ლუის ამარანტო პერეა მადრიდელთა ამხანაგური მატჩისას დამავდა და დაახლოებით 3 კვირა ვეღარ იბურთავენ. კოლუმბიელი სულ ცოტა „სარაგოსასთან“ და „მალორკასთან“ შეხვედრებს გამოტოვებს.

**ბელგიის** ნაკრებისა და „ანდერლეხტის“ ახალგაზრდა ვარსკვლავ ეენსან კამპანის თვალი ლონდონის „ჩელსიმაც“ დააღვა. იგი „არსენალს“, „მანჩესტერს“, „იუვენტუსს“, „მილანს“, „ინტერს“, „ბაიერსს“, „რეალს“ და „ბარსელონასაც“ სურს. ერთადერთი კლუბი, რომელმაც ჯერჯერობით კონკრეტული წინადადება შემოგვთავაზა, „ჩელსიაო“, თქვა ბრიუსელური კლუბის წარმომადგენელმა ჰედ ნიუსბალდმა

**ინგლისის** ნაკრებისა და „არსენალის“ მცველი ეშლი კოული შესაძლოა, „ბარსელონაში“ აღმოჩნდეს. ამბობენ, კატალონიელები მზად არიან, მასში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. შეგახსენებთ, რომ კოული „მეთოფეების“ უფროსობასთან კონტრაქტზე და ხელფასზე ვერ თანხმდება.

**ესპანურ „რეალს“** ჯანლუიჯი ბუფონის შეტენა სდომებია. როგორც ირკვევა, მადრიდელთა „იუვენტუსს“ 25 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, თუმც ტურინელებმა „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს მადლობა გადაუხადეს და უარით გაისტუმრეს. იტალიელების თქმით, ბუფონის ფასი გაცილებით მეტია, მაგრამ მის გაყიდვას არ აპირებენ.

# ჯოზია, რომასთან ნავაბო ანჩელოტის ნოსტალგია მოაფხა

იტალია და მთლიანად საფეხბურთო სამყარო დიდი მატჩის მოლოდინშია. ხვალ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ერთმანეთს „რომა“ და „მილანი“ შეერკინებიან. „როსონერის“ თავკაც კარლო ანჩელოტის თავის ყოფილ კლუბთან და უახლოეს მეგობართან, ბრუნო კონტისთან შებრძოლება მოუწევს.

იტალიური „IL MESSAGGERO“ მას სწორედ ამ თემაზე ესაუბრა და კიდევ რამდენიმე საინტერესო კითხვა დაუსვა.



ლო ტურებამდე თქვენი კონკურენტი იყო.

— მილანსა და „რომას“ შორის ლამაზი და დაუსრულებელი პაექრობაა. შესაძლოა, ახლა ჩვენი მიზნები სხვადასხვაა, მაგრამ ამ მატჩს მაინც უდიდესი დატვირთვა აქვს.

— ამბობენ, რომ „მილანს“ რონალდინიოს ყიდვა უნდა...

— იგი ძალიან დიდი ფეხბურთელია, მაგრამ არა მგონია, ჩვენს სათამაშო სქემაში ჩაჯდეს.

— ტოტი თქვენს სქემაში უკეთ ჩაჯდება?

— ფრანჩესკოს სხვა სათამაშო სტილი აქვს, თანაც იგი მთელი კარიერის განმავლობაში იტალიაში თამაშობს.

— ბოლო წლებში თქვენ არაუ-

ფერგიუსონის სიტყვებს კი ძალიან ვაფასებ. მან აღიარა, რომ „მილანი ორივე მატჩში უფრო ძლიერი იყო.

— „მილანისა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირებაში ყველაფერი 8 მაისს გადაწყდება?

— სავარაუდოდ, ასე იქნება. ჩემი აზრით, ყველაფერს სწორედ ურთიერთშეხვედრა გადაწყვეტს. ჩვენ და ტურინელები ამჟამად ამკარად სხვებზე ძლიერნი ვართ.

— თუმც „იუვენტუსსა“ და „მილანს“ მსაჯებიც სხვებზე მეტად ეხმარებიან...

— ამაში ერთმანეთს ნუ შეგვადარებთ. ჩვენ და ტურინელებს ერთნაირი მხოლოდ ქულები გვაქვს.

— თქვენ სკუდეტოს მოგებას ჩემპიონთა ლიგას ამჯობინებთ. დუბლზე არასოდეს ვიფიქრით?

— არა, ეს ძალიან ძნელია.

— ამბობენ, რომ მომავალში „რეალის“ მწვრთნელი გახდებით.

— ძალიან მაინტერესებს „მილანის“ პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ მადრიდელთა მართლაც მოგემართეს წინადადებით. მე აქ თავს ჩინებულად ვგრძობ და სადმე წასვლაზე საერთოდ არ ვფიქრობ.

**იტალია**  
თავისი ნახევარმცველის ფილინგრა  
რომა — უდინეზი      ინტერი — კალიარი



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. გეოგრაფიული ნილისკრა

**რაც მოხდა** ბრიუსელში „ეიზელის“ სტადიონზე 1985 წლის მათში, ვინდლო დეტალურად აღწერას არ უნდა საჭიროებდეს. ოცი წელი მცირე დრო არ არის, მაგრამ ის ამბავი, ჩემპიონთა თასის ფინალს რომ უძღვოდა, ფეხბურთის უახლესი ისტორიის უდიდეს ტრაგედიად რჩება. „ლივერპულის“ და „იუვენტუსის“ მამინდელი ფინალი კი სისხლიანი ფინალის სახელითაა ცნობილი.


იმ ამბიდან ოცი წლის თავზე კი უფასო ჩისონის ხელმა იწვია და კალათიდან ბურთულები იმგვარად ამოიღო, რომ „ლივერპული“ და „იუვენტუსი“ საამსეზონო ლიგის მეოთხედფინალში გადაკარა ერთმანეთს.

„სრულიად განსაკუთრებული შეგრძნება მაქვს — თქვა წილისყრაზე ტურინელთა ემისარმა რომი გაიმ — დარწმუნებული ვარ, ჩვენი მომავალი მატჩები წმინდა სპორტული სულისკვეთებით გაიმართება. იმ ტრაგიკული ამბიდან ბევრი წელი გავიდა და ჩვენ რამდენჯერმე ვცადეთ „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ ამხანაგურ მატჩში გაჯობება, რათა ძველი წყენა საბოლოოდ გაგვექარწყლებინა. სამწუხაროდ ასეთი თამაშის ჩატარება ვერ მოხერხდა, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეოთხედფინალური სალიგო მატჩები ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაივლის.“

წილისყრაზე ლივერპულელთა წარმომადგენელმა რიკ პარიმ კი თქვა: „დღეს ჩვენს კლუბებსა და ჩვენს გულშემატიკურებს შორის მტრობა არ არსებობს. მეტიც, მე ვიტყვი, რომ ჩვენ მეგობრები ვართ. „ეიზელის“ ტრაგედიად დიდი დრო გავიდა და მართალია, ეგეთი რამ არასოდეს გავიწყდება, ჩვენც და იტალიელებიც დღეს მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობთ.“

საფეხბურთო სტატისტიკა კი გვაძლავს: 1977 წლიდან 1984-ამდე ინგლისური კლუბები შეიძვერ გახდნენ ევროპის საკლუბო ჩემპიონები, „ეიზელის“ ტრაგედიის მერე კი, რომელმაც აქამდე არ გვითქვამს

## ნება არ იყოს ეს მაღონი



მეოთხედფინალისტები უფასო აღმასრულებელმა დირექტორმა ლარს კრისტერ ოლსონმა დააწყო

### პირველი მატჩები

5 აპრილი

**ლივერპული (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია)**

**ლიონი (საფრანგეთი) — ასპენსე (გერმანია)**

საპასუხო მატჩები გაიმართება 13 აპრილს

6 აპრილი

**მილანი (იტალია) — ინტერი (იტალია)**

**ჩელსი (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია)**

საპასუხო მატჩები გაიმართება 12 აპრილს

### ნახევარფინალის ნილისკრა

**ჩელსი ან ბაიერნი — ლივერპული ან იუვენტუსი**

პირველი მატჩები — 26 აპრილს, საპასუხოები — 4 მაისს

**მილანი ან ინტერი — ლიონი ან ასპენსე**

პირველი მატჩები — 27 აპრილს, საპასუხოები — 3 მაისს

და ახლა ვთქვათ, რომ 39 გულშემატიკურის სიცოცხლე შეიწირა, ინგლისელებმა მხოლოდ ერთხელ მოიგეს უმთავრესი ევროპული ჯილდო — 1999 წელს, რა დაგვაიწყებს, „მანჩესტერმა“ „კამპ ნოუს“ ლეგენდარულ ფინალში „ბაიერნი“ რომ დაამარცხა.

მეოთხედფინალის მეორე უდიდესი ბრძოლები კი „სან სიროზე“ გაიმართება. „მილანი“ „ინტერი“ წინააღმდეგ. თუ რას ნიშნავს სრულიად ევროპული მასშტაბით „მადონინა“, ასევე არ ღირს სიტყვის გაგრძელება, ერთი კი გავიხსენოთ — 2003-ში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, „სავეროთასო მადონინა“ კახა კალაძის „მილანმა“ სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით მოიგო, რის მერეც ჩემპიონთა თასსაც დაეუფლა.

საამბიკებოდ კი „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ამბობს: „გულახდილად გეტყვით, რომ მორიგ მილანურ დერბოში თამაში სულაც არ გვსამოყენებს, მაგრამ მისი თავიდან აცილება ჩვენ არ შეგვეძლო. ერთადერთი, რისი იმედიც ახლა მაქვს, ის არის, რომ თამაშებისას ჯანსაღი ატმოსფერო იქნება.“

გადაეყარა, არც ანდრეა პირლოს, ყოფილ ინტერელს, ახლა კი „მილანის“ ფეხბურთელს ეამა: „კარგი იქნებოდა, „ინტერს“ არ შეეხვედროდით, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ლიგის ამ ეტაპზე უთუოდ ურთულესი დაპირისპირება მოგველოდა.“

„ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ კი თქვა: „თუ ჩვენ ჩემპიონთა ლიგის მოგება გვინდა, არაფერზე არ უნდა ვიწუწუნოთ. ცხადია, რომ თასამდე მიმავალ გზაზე სწორედ ასეთი ურთულესი დაბრკოლებების გადალახვა მოგვიწევს. თუმცა ამავე დროს იმასაც

ვადიარებ, რომ „მილანის“ მაგიერ გვერჩინა სხვა არანაკლებ ძლიერი მეტოქე შეგვეხვედროდა. ამის სათქმელად ერთადერთი მიზეზი მაქვს — დერბო მინც დერბოა და აქ სულ სხვა ფაქტორები მოქმედებენ.“

ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მორიგი „მილანის“ გული არ დაწყვეტია, „ინტერის“ მკვარე ფრანჩესკო ტოლდოა: „მილანს“ წილისყრის ასეთი შედეგი არ მოეწონა. ანუ მათ ჩვენი ემინაო.“

უპირველესი გერმანული კლუბი „ბაიერნი“ ისევ დაბრუნდება ლონდონში, ოღონდ „არსენალის“ მაგიერ მოუნებელს ახლანდელი გადასახედიდან გაცილებით უხერხული მეტოქე, „ჩელსი“ ელთი.

აბრამოვიჩის გუნდი კი პრინციპში უკმაყოფილო არ უნდა იყოს — ლიგას შემორჩენილ ევროპულ ბობოლათაგან „ბაიერნი“ ალბათ ყველაზე სასურველი მეტოქე იყო ამ წველების ფონზე კი მეტისმეტად იზრდილება „ლიონისა“ და „ასპენსე“ ვინდოვინს“ წყვილი. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამათი დაპირისპირება უინტერესო იქნება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამათი სახელები ისევე მრისხანედ არ უღერენ, როგორც დანარჩენების.

გუშინვე ნახევარფინალისგან ბადეც გაირკვა. საკარაულო მეტოქეთა ვინაობას აქ წარმოადგენილი ცხრილით გავრკვევთ, პროგნოზები კი, ცხადია, თქვენზეა.

კობა კეკელია

ბოტალიზატორ „უილიამ ჰილის“ პროგნოზები ჩემპიონთა თასის ალაბაზე	
მილანი	100-30
ჩელსი	100-30
იუვენტუსი	7-2
ლიონი	13-2
ბაიერნი	7-1
ინტერი	8-1
ლივერპული	18-1
ასპენსე	20-1

**უფასო თასი**  
**ჩემპიონთა ლიგის**  
**საპასუხო მატჩები**

ცსკა (რუსეთი) 2:0 პარტიზანი (სერბეთი) (1:0)  
 ოსნარი (საფრანგეთი) 0:0 ლიონი (საფრანგეთი) (1:0)  
 პარმა (იტალია) 1:0 სპილია (ესპანეთი) (0:0)  
 სპორტინგნი (პორტუგალია) 1:0 მიდლსბრო (ინგლისი) (3:2)  
 სარაგოსა (ესპანეთი) 2:2 აუსტრია (ავსტრია) (1:1)

**გეოგრაფიული ნილისკრა**

სტიპა (რუმინეთი) ან ვილიარეალი (ესპანეთი) — ალკანარი (პოლანდია)  
 ცსკა (რუსეთი) — ოსნარი (საფრანგეთი)  
 ნიუკასლი (ინგლისი) — სპორტინგნი (პორტუგალია)  
 აუსტრია (ავსტრია) — პარმა (იტალია)

პირველი მატჩები — 7 აპრილს, საპასუხოები — 14 აპრილს

**ნახევარფინალის ნილისკრა**

ნიუკასლი ან სპორტინგნი — სტიპა ან ვილიარეალი ან ალკანარი  
 პირველი მატჩები გაიმართება 28 აპრილს, საპასუხოები — 5 მაისს



## გაზაპევი კრასნოდარით იბაბს

ცსკა-ს კრასნოდარის სტადიონი კარგად დაეგება. მოსკოველებმა წინა ეტაპზე, ამავე მოედანზე, ლისაბონის „ბენფიკას“ 2:0 მოუგეს, ამჯერად კი ბელგრადის „პარტიზანი“ ზუსტად ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

თავიდან მეტოქეები ფრთხილდებნენ, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისიდან სტუმრები გააქტიურდნენ, რადგან გოლი სჭირებოდათ, მაგრამ თავად გაუშვეს. ვაგნერ ლავმა დანი კარვალუ ივიცა კრალთან პირისპირ გაიყვანა და მანაც მეორე ცდით ანგარიში გახსნა.

„პარტიზანს“ უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონდა და ცსკა-ს ნახევარზე დაიბუდა, თუმც კიდევ ერთი კონტრშეტევა გამოეპარა. კარვალუ სტუმართა საჯარიმოში ჯორჯევიჩმა წააქცია, წამქცევი მსაჯმა

გააძევა და პენალტიც დანიშნა, რომელიც ვაგნერ ლავმა გამოიყენა. ორი წუთის შემდეგ გვერდით მსაჯთან კამათისთვის ივან ტომიჩიკ გააძევეს და ცხრაკაცა „პარტიზანი“ რაღას მოახერხებდა.

ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკის გარეშე მოთამაშე „მიდლსბრომ“ ლისაბონში „სპორტინგთან“ გოლი ვერ გაიტანა, თამაშის ბოლოსწინა წუთზე კი მასპინძელმა ბარბოსამ იხურა და სტუმრებს შანსი არ დაუტოვა. შეგახსენებთ, რომ უფასო თასის ფინალი ლისაბონში გაიმართება.

„აუსტრიაში“ სარაგოსელთა კარში ორი გოლის გატანა მოასწრო, სანამ მსაჯი სტუმართა მეკარეს გააძევებდა. დიდულიცა სავიოს წაქცევითვის მოედნიდან მიაბრძანეს, კაცმეტმა „სარაგოსამ“ კი მეორე ტაიმის ხუთწუთიან მონაკვეთში გაათანაბრა, მაგრამ მეტი ვეღარ შე-

ძლო და სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით ვენელები მეოთხედფინალში გაძვრნენ.

ფრანგულ გუნდებში უკეთესი „ოსური“ აღმოჩნდა და ვი რუს გუნდი უფასო თასისთვის ბრძოლას აგრძელებს. „ლიონს“ პირველი შეხვედრა წაგებული ჰქონდა, ოსურში კი ხეირი ვერ ნახა, თან თამაშის დასრულებამდე თითხმეტა წუთით ადრე მეტოქესთან ჩხუბის გამო სტუმრებს ვიტაკიჩი გაუძევეს და უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისიც ვთქვათ, რომ „ლიონი“ ინტერტოტოდან მოდიოდა და საკმაოდ დიდხანს შემორჩა უფასო თასის გათამაშებას.

სერია A-ში დასარჩენად მებრძოლმა „პარმამ“ კარლონეს გოლის წყალობით „სევილია“ დაამარცხა და იტალიელებს ევროთასებზე მეოთხე გუნდი შეუნარჩუნა.

მათ სუციფილი



# იჭაღია

გაგონა  
ქალი



მილანელებთან ხვალინდელ თამაშს დანიელე დე როსი (მარჯვნივ) გამოტოვებს

## ბრუნო კონტი ძმასის წინააღმდეგ რაზე ოცნებობს მსაჯისგან დაჩაბრული იუვენტუსი?

XXIX ტური	
დღეს	
სივსა :	ლანცი
ოპონტუსი :	რაქოვა
ხვალ	
საპალორია :	ატალანტა
პისინა :	ბოლონია
პიპსი :	ბარეზა
ლივორნო :	პალანკო
ინტერი :	ფიორენტინა
უდინეზე :	ლაცი
რომა :	მილანი
პარმა :	პალანკო

სადღეისო პოზიციები	
მილანი	28 19 6 3 47:17 63
იუვენტუსი	28 19 6 3 46:16 63
ინტერი	28 10 17 1 50:33 47
სამპდორია	28 14 5 9 31:21 47
უდინეზე	28 13 6 9 41:28 45
პალანკო	28 11 10 7 31:26 43
რომა	28 10 8 10 46:43 38
ბოლონია	28 9 10 9 28:26 37
კალიარი	28 10 7 11 41:45 37
ლეჩე	28 9 9 10 48:49 36
რეჯინა	28 9 8 11 28:33 35
ლივორნო	28 9 8 11 31:37 35
მესინა	28 9 8 11 32:40 35
ლაცი	28 9 7 12 35:38 34
ფიორენტინა	28 7 10 11 29:37 31
პარმა	28 7 8 13 30:45 29
კიევი	28 7 7 14 21:39 28
ბრეშა	28 7 5 16 23:37 26
სიენა	28 4 14 10 27:42 26
ატალანტა	28 4 9 15 24:37 21

**ოცდამეცხრე** ტურის მთავარ მატჩად, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, „რომა“ — „მილანი“ მივიჩნით. ეს შეხვედრა ხვალ, საქართველოს დროით ღამის თორმეტის ნახევარზე „სტადიო ოლიმპიკოზე“ გაიმართება და იქნება „წითელ-ყვითელთა“ სეზონში მეოთხე მწვრთნელის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ბრუნო კონტის დებიუტი სერია A-ში. მოგეხსენებათ, ამ კვირის შუაში კონტის უკვე ჰქონდა სათალო დებიუტი „ფიორენტინას“ წინააღმდეგ და მართალია ვერ მოიგო, მაგრამ პენალტებით გამარჯვება მაინც მის გუნდს ღირს.

ხოლო ბრუნო კონტისგან მოედნის ცენტრალურ ხაზს მიმართ სიმეტრიულად იჯდება მისი მეგობარი და „რომას“ დროინდელი თანაგუნდელი კარლო ანჩელოტი, რომელსაც ძმებიტან წაგება საშიშლად არ აძლევს ხელს — მოგეხსენებათ, „მილანი“ და „იუვენტუსი“ თანაბარი ქულებით ლიდერობენ იტა-

ლიურ ცხრილს და ერთმანეთისგან ჩამორჩენისა გველის კბენასავით ეშინიათ.

როგორი შემადგენლობით ითამაშებს „რომა“? ბრუნო კონტის განკარგულებაში არ იქნება ნიჭიერი დანიელე დე როსი, რომელმაც წინა ტურში, „კალიარისთან“ შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. მის ნაცვლად თერთმეტ კაცში სავარაუდოდ, ალბერტო აკილანი მოხვდება. დისკვალიფიცირებულია ბერტინი ტრანიანოს დელასიკე ამბობენ, რომ მის ადგილზე მიმდინარე სეზონში პირველად შეიძლება რუმინელი კრისტიან კიუ ვიხილოთ. აგრეთვე, როგორც ჩანს, ძირითადად დაბრუნდება ვეტერანი კრისტიან პანუჩი, რომელიც ახელ სავიერს შეცვლის.

„მილანი“ ალბათ, არ ეყოლება ალესანდრო ნესტა. ის, როგორც ვიცით, წინა ტურში „სამპდორიასთან“ შეხვედრაში დაშავდა. მის მაგივრად კახა კალაძემ ან ჯუზეპე პანკარომ უნდა ითამაშოს, ხოლო პაოლო მალდინი, ბუნებრივია, ისევ ცენტრში დაბრუნდება.

და, რა ძნელი მისახვედრია, რომ მილანელთა „სტადიო ოლიმპიკოზე“ ჩასვლის დიდი იმედით შეჰყურებს „იუვენტუსი“, რომელიც დღეს თორმეტის ნახევარზე მშობლიურ „დელე ალბიზე“, „რეჯინას“ მასპინძლობს. „რეჯინა“ სწორედ ის გუნდია, რომელმაც ამ სეზონში „ბებერი“ ქალბატონი 2:1 დაამარცხა; მაშინ ნამდვილი საშიშლეუბა დატრიალდა „ბებერი ქალბატონის“ თავს, რომელსაც ჩვეულებრივ მსაჯთა მოთაფლაში სდებენ ბრალს. იმ დღეს კი „იუვენტუსს“ არ ჩაუთვალეს ორი გოლი (ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ოლივიე კაპოს გატანილი) და არ დაუნიშნეს ერთი პენალტი, რომელიც ტურინელთა სასარგებლოდ იმიტომ უნდა დანიშნულიყო, რომ იაკოპო ბალესტრინი საჯარიმოში ხელით ითამაშა.

მოსალოდნელია, რომ ფაბიო კაპელო „რეჯინას“ იმავე შემადგენლობით დაუპირისპირდება, რომლითაც წინა ტურში ითამაშა „კიევისთან“. განსხვავება ის არის, რომ დღეს კაპელო შეცვლაზე ვეღარ შეუშვებს რუბენ ოლივეირას, რომელმაც წინა შეხვედრაში, გამარჯვების გოლიც შეაგლო და იჩნება კიდევ, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო.

„ინტერი“ მასპინძლობს „ფიორენტინას“ და კარგ გუნებაზეა. მერე რა, რომ სერია A-ში ფრეთა ყველა დროის რეკორდი დაამყარა, რაც ერთი მხრივ ირონიულ ღიმილს იწვევს, მთავარია, რომ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „პორტუ“ დაამარცხა 3:1 და მეოთხედფინალში გავიდა. შეგახსენებთ, სამივე გოლი ადრიანოშო გაიტანა.

# ინგლისი

ინგლისი  
სახალხო

## ჩელსის გზა კრისტალური

XXX ტური	
დღეს	
ტოტენჰემი :	სიტი
ბლუზჰარნი :	არსენალი
პოლტონი :	ნორვიჩი
ჩარლტონი :	ვესტ ბრომვიჩი
ჩელსი :	პრ. პალასი
პანინსტონი :	ფულჰემი
პორტსმუთი :	ნოუკასი
ხვალ	
მიდლსბრო :	საუთჰემპტონი
ბირმინგემი :	ასტონ ვილა
ლივერპული :	ვესტჰემი

სადღეისო პოზიციები	
ჩელსი	29 23 5 1 54:9 74
მანჩესტერი	29 18 9 2 47:17 63
არსენალი	29 18 7 4 67:32 61
ვესტჰემი	29 15 6 8 34:30 51
ლივერპული	29 13 5 11 41:30 44
ბოლტონი	29 12 7 10 37:34 43
ჩარლტონი	29 12 7 10 34:38 43
მიდლსბრო	29 11 9 9 43:39 42
ტოტენჰემი	29 11 6 12 35:33 39
ასტონ ვილა	29 10 8 11 34:37 38
ნოუკასი	28 9 10 9 40:44 37
სიტი	29 9 9 11 34:32 36
ბირმინგემი	29 8 8 13 31:37 32
ბლექბერნი	29 7 11 11 25:36 32
ფულჰემი	28 8 6 14 33:46 30
პორტსმუთი	29 8 6 15 31:45 30
პრ. პალასი	29 6 8 15 32:45 26
საუთჰემპტონი	29 4 12 13 30:44 24
ვესტ ბრომვიჩი	29 3 12 14 25:50 21
ნორვიჩი	29 3 11 15 29:58 20

**პირდაპირ** ვთქვათ: სასწაული იქნება, ერთადერთი ჩემპიონობიდან 50 წლის თავზე, ამავე დროს საუკუნოვანი იუბილის წელს, „ჩელსი“ ინგლისის ჩემპიონი რომ ვერ გახდეს. იმაშიც ეჭვი გვეპარება, ღონღონღებმა ამ ტურში წააწყობეს „კრისტიან პალასი“ რომ ვერ დაამარცხონ. ამ მატჩში მასპინძლებს ეგებ ტრავმამოშუშებული არიენ რობენი დაუბრუნდეთ, სტუმრებს კი დისკვალიფიცირებული ბერტინი ნახევარმცველი ვასილის ლაკისი არ ეყოლებათ.

მეორეადგილოსანი „მანჩესტერი“ „ფულჰემს“ მასპინძლობს და ერთი შეხედვით

თავისზე გვარიანად სუსტი გუნდი იოლადაც უნდა დაამარცხოს. მაგრამ აქ ორი მომენტი გასათვალისწინებელი. ერთი, რომ მანჩესტერელებს ამ სეზონში მოტივაცია ფაქტობრივად აღარ დარჩათ და მეორე „ფულჰემი“ „მანჩესტერისთვის“ უხერხული მეტოქეა. წინა სეზონში ლონდონელებმა მანჩესტერელებს ერთი თამაში მოუგეს, მეორეში კი ფრედ ეთამაშნენ.


ძნელი საწინასწარმეტყველოა „ბლექბერნის“ და „არსენალის“ მატჩის შედეგიც აქაც „მეთოფეთა“ უმოტივაციობას მოვიშველიებთ და დავძენთ, რომ „არსენალს“ კუნთმტკივანი ტიერი ანრი არ ეყოლება. თუმცა შესაძლოა მოედანს დაუბრუნდეს ბრაზილიელი ჟალბერტო, რომელსაც ტრავმის გამო სექტემბერს აქეთ არ უთამაშია. „ბლექბერნზე“ კი ვთქვათ, რომ ბოლო ექვს შეხვედრაში გუნდს მხოლოდ ერთი გოლი აქვს გაშვებული.

ახლა კი ტურის მთავარ მატჩზე მოვახსენებთ: ხვალ ლივერპულში სახელგანთქმული დერბი, რომელსაც სატურნირო ვითარება დამატებით ინტრიგას მატებს. „ლივერპულისთვის“ ეს მატჩი „ვესტჰემის“ მეოთხე საჩემპიონთალიგო ადგილიდან ჩამოვადების ეგებ ბოლო მცდელობა იყოს. თუ „ვესტჰემი“ მოიგო, ძნელად რომ დარჩენილ ტურებში „ლივერპულმა“ რაიმე გაახერხოს.

„ვესტჰემი“, რომ ამ მატჩში უფრო აგრესიულად ვითამაშოთ — თქვა „ლივერპული“ მენეჯერმა რაფაელ ბენიტესმა — აქამდე ჩვენ დაცვას ვაქცევით განსაკუთრებულ ყურადღებას, რაც ჩვენს შემდეგ პოტენციალს ოდნავ ასუსტებდა. მაგრამ ეს მატჩი, ჩვენ რაღაც უნდა დაგვიკადეს, უნდა მოვიგოთ“.

„ვესტჰემის“ მენეჯერმა დევიდ მოიესმა კი თქვა: „ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ ცხრილში „ლივერპულზე“ მაღლა ვიქნებოდით, მაგრამ არ მგონია, რომ ამ ფაქტის გამო მეტოქე თამაშისას ზედმეტად ინერვიულებს“.

ამ თამაშს არ ეხება, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ რაფელ ბენიტესმა უარყო ხმები, თითქოს მას მადრიდის „რეალში“ ეპატიჟებიან. სეზონის პირველ დერბიზე კი გავიხსენოთ, რომ დეკემბერში „გაულისონ პარკზე“ „ვესტჰემი“ 1:0 მოიგო.



როზე მუარინიუსი და „ჩელსის“ პოლიანდიელი არიენ რობენი უბრუნდება



# გერმანია



როი მაკაის გარეშე „ბაიერნს“ გოლი ვერ გააქვს

## ჰანზას მაკაი გაუფადას

XXVI ტური	
დღეს	
ლემბორგის	ლაუტარნი
ჰანზა	დორტმუნდი
ჰერტა	არმიხია
ჰანოვერი	გლატა
აინტრახტი	ვოლფსბურგი
ბაიერნი	ჰანზა
ნურნბერგი	ჰერტა
საღამოს	
შტუტგარტი	ფრაიბურგი
აინცი	შალკე

საღამოს ვითარება	
შალკე	25 17 2 6 40:27 53
ბაიერნი	25 15 5 5 46:24 50
შტუტგარტი	25 13 6 6 45:30 45
ვერდერი	25 13 5 7 53:27 44
ჰანზა	25 14 1 10 45:39 43
ჰერტა	25 10 11 4 43:24 41
ლემბორგის	25 11 7 7 45:34 40
ვოლფსბურგი	25 12 1 12 40:36 37
ლაუტარნი	25 10 6 9 33:32 36
ჰანოვერი	25 9 5 11 27:29 32
არმიხია	25 9 5 11 30:34 32
დორტმუნდი	25 8 8 9 29:34 32
ნიურნბერგი	25 7 7 11 43:47 28
გლატა	25 7 7 11 27:39 28
მაინცი	25 7 6 12 32:40 27
ჰანზა	25 4 8 13 22:48 20
ბოხუმე	25 4 7 14 30:53 19
ფრაიბურგი	25 3 7 15 20:53 16

„ჰანზა“ ცხრილის თავში, მაგრამ ამ ადგილის შენარჩუნებისთვის დიდი ბრძოლა მოგვიწევს — თქვა „შალკეს“ მწვრთნელმა რალფ რანენიკმა, რომლის გუნდიც ხვალ „მაინცს“ სტუმრობს. „მაინცი“ კი ბოლო ორ ტურში ჯანსაღად გამოიყურება. შინ „ფრაიბურგის“ ძლევას (5:0) შემდეგ „ლოინისგან“ გამწარებულ „ვერდერთან“ ბრძენში არ წააგო. „შალკეს“ ჯერად ასამოა დაუბრუნდება, რომელიც „ბაიერნთან“ შეხვედრაში დაშვება, მაინცელებს კი დისკვალიფიცირებული ჰანო ბალიტი დააკლდება.

ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლი როსტოკის „ჰანზა“ მიუნხენში, „ბაიერნს“ ეწვევა. მაკაის გარეშე მოთამაშე „ბაიერნმა“ ბოლო ორ მატჩში („არსენალთან“ და „ვერდერთან“) გოლი ვერ გაიტანა და პოლანდიელის გამოძახება უხდება.

პერუელ მეგობე პაულო გერეროს კუნთი სტიკია და ამიტომ ვერ ითამაშებს, ხოლო „ჰანზაზე“ უნდა ვთქვათ, რომ გუნდმა ზედღებულად ორი შეხვედრა მოიგო.

„ლემბორგის“ წინა ტურში შინ ათაკა „ჰერტას“ ძლევა ვერ შეძლო, ამჯერად კი საშინაო სამი ქულის აღებას „კაიზერ-ლაუტარნთან“ ეცდება. მასპინძლებს როკე უნიორი, უიანი და იენს ნოვოტნი ტრავმების გამო დააკლდებათ, „ლაუტარნმა“ კი ეგებ მცველი ჰერე ლემბი მოისაკლისოს.

შთამბეჭდავად მოთამაშე „ჰანზაზე“ შთამბეჭდავად მესამე ადგილზე გასვლისა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის შანსი აქვს. თომას დოლის შეგირდები დორტმუნდის „ბორუსიას“ დაუხვდებიან, რომელსაც კრისტიან ვიორნი არ ეყოლება. მასპინძელთა მწვრთნელს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავს და, ცხადია, სამი ქულის აღებას გეგმავენ.

„ჰანოვერმა“ იანერის შემდეგ ყველა საშინაო შეხვედრა წააგო, არადა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეკეთებულ-შელამაზებულნი ამ გუნდის სტადიონი სწორედ იანერში „აკუთრებს“. ჰანოვერელები შეეცდებიან, მიუნხენგლადბახის „ბორუსიასთან“ ნაკის გატეხონ.

„უახლოეს მომავალში საქართველოს კალათბურთის ფედერაციას საკუთარი ვებ-გვერდი ექნება, რომლის მეშვეობითაც არაერთი გამოკითხვა ჩატარდება. პირველ რიგში ერთნაირი ჩემპიონატის გულშემატკივართა საყვარელ მოთამაშეს გამოვავლენთ. საიტის პრეზენტაციას მალე მოვაწყობთ.“

ამის შემდეგ რუსთაველთა გუნდის დირექტორმა ამირან ხაჩიძემ ითხოვა სიტყვა და „თუჯის“ „დინამოსთან“ მატჩისთვის მზადყოფნაზე ილაპარაკა:

„როგორც იქნა, სრულ შემადგენლობას მოუყარეთ თავი. დავით არჩვიძემ და მიხეილ ჭოჭუამ მონიშნეს ავტოავარიისგან მიღებული ტრავმები და კვირას ითამაშებენ. მათ უკვე ორჯერ ივარჯიშეს გუნდთან ერთად და მიუხედავად იმისა, რომ სასურველი ფორმისგან შორს არიან, მაინც დიდ იმედს ვამყარებთ მათზე.“

„მართალია, „დინამო“ ჩვენზე ძლიერი გუნდია, მაგრამ „თუჯი“ მაინც მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძობება. მით უმეტეს, წინა რუსთაველ შეხვედრაში „დინამოს“ დამარცხებამდე სულ ცოტა დაგვაკლდა და საკუთარი ძალების რწ-

მენაც გავიორმაგდა. ენახოთ, რა გამოვა. ვეცდებით, ძლიერი მეტოქის დამარცხებით პლეი ოფის წინ კარგი განწყობა შევიქმნათ.“

ზურაბ ტომარაძე, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:

„რუსთავში გამარჯვება ჩვენი გუნდისთვისაც ხასიათის გამოსაკეთებელი იქნება პლეი ოფის წინ. ისე კი, წარმატების მიღწევა ძალიან გაკვირვებულა. ამ სეზონში რუსთავში ყველა ლიდერს გაუჭირდა და იქიდან 2 ქულა ყველამ დიდი გაჭირვებით წამოიღო, მათ შორის „დინამომაც“. ბოლო რუსთაველი შეხვედრა 56:54 მოვიგეთ და ანგარიშიდანაც კარგად ჩანს ამ მატჩის სიმძაფრე. სატურნირო თვალსაზრისით ამ თამაშს ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ცხრილში მესამე ადგილს ვერავენ შეგვეცილება, თუმც გამარჯვებას სულ სხვა გემო აქვს და ჩვენც მხოლოდ ეს გვირდა...“

„სამწუხაროდ, ოპტიმალური შემადგენლობა არ გვეყოლება. ჩვენი ლიდერი ლაშა ლოსაბერიძე მწყობრში ჯერაც არ ჩამდგარა, თუმც უახლოეს მომავალში მის მოედანზე დაბრუნებას ველოთ. რუსთავში ალბათ ვერც ბუბა ბერიშვილი დაგვეხმარება, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისია ჩვენი გუნდისთვის.“

იქვე ფედერაციის პრესატაშემ ვამცნო, რომ უკვე თითქმის გადაწყვეტილია, რომ თასის ნახევარფინალებს 2-3 აპრილს რუსთავი უმასპინძლებს. თსუ — სტუს შეხვედრა, „ვიკამშენი“ — „თუჯს“.

„მადლობა ფედერაციას, ნახევარფინალების მასპინძლობის პატივი რომ გვარგუნა — თქვა რუსთაველთა გუნდის დირექტორმა ამირან ხაჩიძემ — დიდი მადლობა ასევე რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს, რომელმაც თასის მატჩების მასპინძლობისთვის ხელსაყრელი პირობები შეგვიქმნა. ბატონმა მერაბმა ახლანამ გადაგვიხადა ეროვნული ჩემპიონატში მონაწილეობის თანხა და გუნდში ერთი თვის ხელფასი დაარია. აქამდე 15 თვე უყურადღებოდ ვიყავით და ახლა, როგორც ჩანს, ყინული დაიდრა. ნელ-ნელა ჩვენი გუნდიც გაიმართება წელში და ჩემპიონატსაც ინტრიგა შეემატება.“

ირაკლი პერტანი



17 მარტი

## MADE BY WADE

### ბიგანტების დუელი ბიჭუნა ჩაბრია

**ბიგანტი 102:89 ლიკარსი**  
 ბიგანტი: ვიდი (27), ონილი (25 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), დულონი (17)  
 ლიკარსი: ბრაიანტი (26 ქულა, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ტკინი (23), ოდოში (11 ქულა, 11 მოხსნა)

**გოლდენ სტიტი 101:97 საპარაშინო**  
 გოლდენ სტიტი: რიჩარდსონი (40 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი), დევისი (15 ქულა, 10 პასი)  
 ცენტრი: სთადარიგო იყო საპარაშინო: მობლი (28), სტოიკოვიჩი (18), ტომასი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**დალასი 98:94 პორტლენდი**  
 დალასი: ჰოვარდი (21 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (17), დანიელსი (16), ნოვიცი (15)  
 პორტლენდი: სტუდემიერი (20), ადურ-რაბინი (20), პრებილა (16 ქულა, 13 მოხსნა), ტელფორი (16)

**კობი ბრაიანტსა და შაკილ ონილს** ერთმანეთისთვის პირშიც და ზურგსუკანაც, „ლიკარსი“ ერთად თამაშის დროსაც და მით უფრო, მერეც იმდენი მწარე სიტყვა უთქვამთ, ორი ვარსკვლავის ურთიერთობას მინი ცივი ომიც დაერქმევა. ამიტომაც ონილის „მაიამისა“ და ბრაიანტის „ლიკარსის“ შეხვედრას გვარიანი ინტრიგა ახლდა. დაძაბულობა თამაშამაც გააღრმავა, კობიც და შაკიც ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ ისევე როგორც ამ გუნდების პირველ, ლოსანჯელესურ შეხვედრაში, მატჩის ბედი, ასე ვთქვათ, ამ ინტრიგაში გაურევებლად, „ნეიტრალურმა“ მოთამაშემ გადაწყვიტა.

თანაბარი მატჩი გამოდგა, სადაც პირველ სამ მეოთხედში ვერაფრით გამოიწნობდი გამარჯვებულს. გადაწყვეტი 12-წუთეულის წინ „მაიამი“ მხოლოდ ორი ქულით უპირატესობდა და როცა ყველა ცხარე ბრძოლას ელოდა, შაკიკობის დუელში მაშინ ჩაერია შაკის 23 წლის თანაგუნდელი დუეინ ვიდი. ამ თებერვალს ოლსტარდაჭაშნიკებულმა და საერთოდ ნამდვილ ვარსკვლავად ჩამოყალიბებულმა ვიდი გადაამწყვეტ მეოთხედში რვა ქულა გააკეთა და ფაქტობრივად პირადად გადაწყვიტა მატჩის ბედი. მისმა „მაიამიმაც“ ზედიზედ მე-

თერთმეტედ მოიგო და „ლიკარსს“ ზედიზედ მესამე მარცხი აწვინა. ყველაფერი იქით მიდის, „მაიამი“ ულაპარაკოდ მოიგებს აღმოსავლეთ კონფერენციაში, ყოველ შემთხვევაში, რეგულარულ ჩემპიონატში მაინც, ხოლო „ლიკარსს“ ვინმე სანატრელიც გაუხდეს პლეი ოფში მოხვედრა. ამ მარცხმა ბრაიანტის გუნდი უფრო დააშორა დასავლეთში მერვეადგოლოსან „დენვერს“ და თუ ლოსანჯელესელმა მოგებებს არ უხშირებს, 1994 წლის შემდეგ პირველად დარჩებიან უპლეი-ოფოვ.

ბევრისდა გასაკვირად, იმარჯვა ნიკა ცქიტიშვილის „გოლდენ სტიტიმ“. თავად ცქიტიშვილს საერთოდ რომ არ უთამაშია, ამაში კი ნაღდად არაფერია გასაკვირი. სან-ფრანცისკოელებმა, უფრო ზუსტად კი ამ ქალაქის გარეუბან ოკლენდის მკვიდრმა „მეორეებმა“ მეზობელი საკრამენტოს ბინადარი „მეფეები“ დასცეს და ამაში მხედარ-მთავრის წილი დაიდო მათმა ხტუნა მტყორცნულმა ჯეკი რინარდსონმა, რომელმაც 40 ქულა და კიდევ ბევრი რამ გააკეთა. „მეფეებს“ ამჯერად ვერ უშველა ბოლო მეოთხედების ოსტატმა მაიკ ბიბიმ. მას თამაშში 16 ტყორცნიდან 12-ის აცილების შემდეგ მხოლოდ 11 ქულა მოუგროვდა.

დღის მესამე და წინა ორზე არანაკლებ დაძაბულ შეხვედრაში „პორტლენდმა“ გვარიანი წინააღმდეგობა შეჰხედა „დალასს“, ერთი ხანობა 11 ქულითაც უგებდა, მაგრამ ბოლო მეოთხედი ჩააფლავა და ზედიზედ მესამედ, ბოლო ათ შეხვედრაში კი მეცხრედ დამარცხდა. რა ქნან ამ საწყა-ლმა პორტლენდელმა, ოთხი წამყვანი მოთამაშე — რენდოლფი, ვან ექსელი, მაილზი და პატერსონი — აკლიათ მათ გარეშე კი თავს და „დალასის“ დარ მეტოქეს ვერ გადააჭტებინან.

კობე ყორშია



## ევროლიგა

### მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური 16-17 მარტი

D ჯგუფი				
ულშერი 67:83 ბაბაბი				
ულშერი: ერდოგანი (21), არიკო (11)				
ბაბაბი: ბასტონი (17), ვუიჩიჩი (13), ტომასი (13), პარკერი (12), ბურშტეინი (12)				
ციონა 78:73 სიანა				
ციონა: ლონგინი (21), ბადერი (17), ვრანკოვიჩი (13)				
სიანა: ტორნტონი (11), მაიერსი (10), უუკაუსკასი (10), ვანტერპული (10)				
ბაბაბი	4	4	0	+65
სიანა	4	2	2	+35
ციონა	4	1	3	-47
ულშერი	4	1	3	-53
E ჯგუფი				
საპროლინი 90:88 რეალი				
საპროლინი: მოტოლა (23), სმიტი (19), არჩიბალდი (16), მილიჩი (12)				
რეალი: სენტი (17), ბალოვი (17), ბერკი (16)				
ცსკა 68:79 ბარსელონა				
ცსკა: ბრაუნი (16), პოლდენი (12)				
ბარსელონა: ბოდიროვა (18), ნავარო (15), ფუქა (11)				
ცსკა	4	3	1	+31
ბარსელონა	4	2	2	+2
საპროლინი	4	2	2	-21
რეალი	4	1	3	-12

F ჯგუფი				
პანათინაიკოსი 83:78 შალგირისი				
პანათინაიკოსი: ალვერტი (17), ბატისტე (15), შიძიერესტა-ლი (12)				
შალგირისი: ბერდი (24), ლავრინოვიჩი (16), ბაგაცისი (16), ტომინსკასი (14)				
კლიმაშიო 86:79 ტაუ				
კლიმაშიო: ბაზილე (26), ვუიჩიჩი (15), ბაგარიჩი (13)				
ტაუ: მასიაუსკასი (27), დევიდი (24)				
პანათინაიკოსი	4	3	1	+24
კლიმაშიო	4	3	1	+2
ტაუ	4	2	2	+22
შალგირისი	4	0	4	-48
G ჯგუფი				
პენატონი 85:65 აპ				
პენატონი: გარნეტი (20), გორევი (16)				
აპ: ბეილი (26)				
პროკოში 70:89 ეფესი				
პროკოში: ფარმერი (18), ვოიჩიჩი (15), ნემეტი (10)				
ეფესი: დომერკანტი (21), სოლომონი (19), ნიკოლიჩი (17)				
ეფესი	4	3	1	+51
აპ	4	3	1	+5
პენატონი	4	2	2	+17
პროკოში	4	0	4	-73



# ჩაბპირის მუზარადის მოუხდაბა

დიდი ამბავია დღეს ევროპაში. 6 ერის ბოლო ტურია. ამ ტურნირს ოფიციალური საფინანსო მატრი არა აქვს, წრიული სისტემაა, მაგრამ დღევანდელ თამაშთაგან ერთს მაინც შეგვიძლია, ფინალის ტოლფასი ვუწოდოთ.

თეიქნეში ინგლისი შოტლანდიას რომ მიიღებს, ამას ასეთ სტატუსს ვერ მიანიჭებ. ვინ მოიგებს, სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვერც ერთი და ვერც მეორე წლებს ტიტულს ახლოსაც ვერ გაეკარება. ერთადერთ დატვირთვას ისევ ამათი ისტორიული დაპირისპირება სძენს შეხვედრას.

კიდევ ერთი მატჩი რომის „სტადიო ფლამინიოზე“ დაგეგმილი. იტალიელები ფრანგებს დაუხვდებიან. მიუხედავად იმისა, რომ „მამლებს“ გაიმპიონების შანსი ჯერ არ დაუკარგავთ, ამ თამაშზეც ვერ იტყვი, დიდი საყურადღებო ჯახია. მასპინძლები განწირულები არიან. ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, ფრანგთა საწინააღმდეგოდ ჩამოვიდეს ფსონს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელთა თავკაც ჯონ კირკანს წყალი აქვს შემდგარი და მისი გუნდიც ალბათ ალალად იოშებს, რომ მწვრთნელს ადგილი შეუნარჩუნონ.

ბოლოს იმ თამაშსაც მივადექით, ფინალად რომ მოიხზება. კარდიფში, „მილენიუმ სტედიუმზე“, ჯერაც დაუმარცხებელი უელსი თითქმის დაუმარცხებელ ირლანდიას მასპინძლობს. ეს „თითქმის“ საშუალებას არ აძლევს ირლანდიელთ, რომ „დიდი მუზარადის“ მოგებაზე იოცნებონ. გამარჯვების შემთხვევაში მხოლოდ ჩემპიონობას თუ დასჯერდებიან. „მუზარადის“ მომგები წლებს მხოლოდ უელ-

სია ამისთვის სრუტისგადმდე უმეზობლების დამარცხებაა საჭირო. ეს 80 წუთი იქნება მიუღწეველსური რაგბისთვის გადამწყვეტი. ამ 80 წუთის ამოწურვის შემდეგ ახალი ერა დაიწყება უელსელითების, ან მათი გულშემატკვარის გამოცდის ცხოვრებაში უდიდეს იმედგაცრუებას.

არადა, რა ალალად ეკუთვნის „დრაკონებს“ ტრაუმები: 4 შესანიშნავად მოგებულ თამაშს, ბეჭეზე გაკრულ ინგლისს და დიდი რაგბის დაბრუნებით გამოწვეული სიხარული. აქამდე 6 ერის გათამაშებაში უელსს წარმატებისათვის არ მიუღწევია. 11 წელიწადია, რაც საერთოდ არ რგებიათ ტიტული და „დიდი მუზარადისთვის“ ხამ 1978 წლის შემდეგ არ შეუქვლიათ ხელი.

ეკუთვნით ერთია, მაგრამ მოწინააღმდეგე ჰყავთ ისეთი, ვის რა ეკუთვნის, სულ რომ არ აინტერესებს. ირლანდიელებიც დიდი ხანია, თავიანთ შანსს ელოდებიან შარშან ერთი ნაბიჯიდა სჭირდება ბოდაი ტიტულამდე და ეს საბოლოო ფრანგებმა არ გადაადგმეს. არადა, რა ახლოს იყო მახანი მაშინ და რა ახლოს არის იგი დღესაც. თუმცა წლებს, შარშანდელის მსგავსად, შეიძლება ისევ საფრანგეთთან მარცხმა დაღუპოს საქმე.

ასეა თუ ისე, ოდრისკალი და კომპანია მასპინძელთთვის გამარჯვების მირთმევას არ აპირებს. ჩემპიონობა ჩემპიონობაა, თუნდაც „მუზარადი“ და ამისთვის დღეს ირლანდიელები ისევე მედგრად იბრძობებიან, როგორც მათი დამხედური უელსელი „დრაკონები“.

ლადო ფულუკიძე



## სინი თუ ფიალა? საქართველო სამივე შეხვედრა ზაბო

შვიდკაცას მსოფლიოს თასის პირველი დღე საქართველოს ნაკრებისთვის მოლოდინისამებრ წარუმატებელი გამოდგა. ზაზა ლეჟავას გუნდი ჯგუფის სამ უძლიერესს შეხვდა და თასისთვის ბრძოლის გაგრძელების თეორიული შანსიც დაკარგა. ხოლო სინისთვის ითამაშებს თუ ფიალისთვის, ეს დღეს გამოჩნდება.

პირველი მწარე გაკვეთილი თასის ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეულმა ინგლისმა ჩაგვიტარა. მსოფლიოს ჩემპიონებმა შეიძინეს ლელო გაკვეთიანს, ზედ ექვსი გარდასახვაც დაამატეს და ჯამში 47:0 მოგვიგეს. მანამდე საფრანგეთმა ტაივანს 40:7 სძლია, სამომ კი იტალიას აჯობა 28:10.

ბორჯღალოსნების მეორე მეტოქე საფრანგეთი იყო. პირველ ტაიმში თანაბარი ბურთობაც გაჩაღდა. მსოფლიოს თასის სპეციალური ვებ-გვერდის ცნობით, შესვენებაზე გუნდები 5:5-ით გავიდნენ. ქართველთაგან ლელო ირავლი მარხანელმა გაიტანა, მეორე ნახევარში კი ფრანგებმა იძალადეს და ანგარიშზე მხოლოდ მათ სასარგებლოდ იცვლებოდა. საბოლოოდ — 3:5.

ერთი ტაიმი ტოლ-სწორად ლეჟავას გუნდი სამოასაც ეჭიდავა, თუმცა, საფრანგეთთან მატჩისგან გა-

ნსხვავებით, ეს მეორე ნახევარში იყო და მანამდე სამოას უკვე გვარიანი უპირატესობის მოპოვებაც მოესწრო და შესვენებამდე 26 ქულა დაეგროვებინა. ქართველთა ერთადერთი ლელო ლეჟავამ გაიტანა.

B ჯგუფის დღის ბოლო ორი შეხვედრა მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. ჯერ იყო და ტაივანმა იტალიას სძლია 28:14, მერე კი საფრანგეთმა მოუგო ინგლისს — 28:17.

დღეს გამთენიისას საქართველო იტალიას დაუპირისპირდება. დაახლოებით 11 საათისთვის კი ჯგუფურ ეტაპს ტაივანთან თამაშით დაასრულებს. თუ ორივე ეს შეხვედრა მოიგეს, ბორჯღალოსნები სავარაუდოდ ჯგუფურ ოთხეულში შევლენ და ბრძოლას სინისთვის გააგრძელებენ. მეხუთე-მექვსე ადგილის დაკავების შემთხვევაში კი ერთადერთ სამიზნედ ფიალა დაჩრებიან.

ოთარ გალავალიძე

<b>A ჯგუფი</b>	<b>C ჯგუფი</b>
<b>ტონგა 31:10 აშშ</b>	<b>კანადა 41:0 ჰონგკონგი</b>
<b>შოტლანდია 33:14 ირლანდია</b>	<b>ავსტრალია 31:7 პორტუგალია</b>
<b>ახ. ზელანდია 47:0 კორეა</b>	<b>ფიჯი 47:0 იაპონია</b>
<b>შოტლანდია 36:14 აშშ</b>	<b>ავსტრალია 38:5 ჰონგკონგი</b>
<b>კორეა 20:15 ტონგა</b>	<b>იაპონია 19:7 კანადა</b>
<b>ახ. ზელანდია 52:5 ირლანდია</b>	<b>ფიჯი 31:0 პორტუგალია</b>
<b>შოტლანდია 33:15 კორეა</b>	<b>ავსტრალია 31:12 იაპონია</b>
<b>აშშ 31:19 ირლანდია</b>	<b>პორტუგალია 21:0 ჰონგკონგი</b>
<b>ახ. ზელანდია 19:12 ტონგა</b>	<b>ფიჯი 29:14 კანადა</b>
<b>B ჯგუფი</b>	<b>D ჯგუფი</b>
<b>საფრანგეთი 40:7 ტაივანი</b>	<b>კენია 17:14 ურუგვაი</b>
<b>სამოა 28:10 იტალია</b>	<b>ტუნისი 19:12 ს. აფრიკა</b>
<b>ინგლისი 47:0 საბართველო</b>	<b>არგენტინა 40:5 რუსეთი</b>
<b>სამოა 35:0 ტაივანი</b>	<b>ს. აფრიკა 59:0 ურუგვაი</b>
<b>საფრანგეთი 31:5 საბართველო</b>	<b>რუსეთი 26:19 კენია</b>
<b>ინგლისი 41:0 იტალია</b>	<b>არგენტინა 24:5 ტუნისი</b>
<b>სამოა 36:7 საბართველო</b>	<b>ს. აფრიკა 64:14 რუსეთი</b>
<b>ტაივანი 28:14 იტალია</b>	<b>ტუნისი 17:5 ურუგვაი</b>
<b>საფრანგეთი 28:17 ინგლისი</b>	<b>არგენტინა 36:7 კენია</b>

## ჩახეთი დათვთა მოლოდინშია



მთელი სარაგბო ევროპის ყურადღება რომ 6 ერის ფინალური ტურისკენ არის მიმართული, ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ ჩვენი გვაწუხებს და ერთა თასის 2 დღევანდელი მატჩიც ნუ დაგვჩრება უყურადღებოდ.

სანამ ჩვენ და პორტუგალია ვისვენებთ, დანარჩენი მეტოქეები გახურებულ მზადებაში არიან. ჩეხები პრაღაში რუსეთს ელოდებიან. ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ამით ვერ გააკვირვებ, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ, რომ პრაღის იოზეფა კოპ უტას სახელობის სტადიონზე გვარიანად მოთოვა. ჯერ კიდევ გუშინ ჩეხური რაგბის მამებმა ორი ალტერნატიული სტადიონი დაასახელეს იმ შემთხვევისთვის, თუ მზე და სარბილის თანამშრომლები მოედნის საფარის მოწესრიგებას ვერ შეძლებდნენ. ჩეხთა ასეთი თადარიგი არცაა გასაკვირი, რადგან ისინი ევროპას მიეჩვივნენ, კომფორტი შეირგეს და, უბრალოდ, თოვლ-ჭყაპიან საფარზე თამაში უფრო სტუმრებს მიანიჭებს უპირატესობას. —

რუსეთის ხომ თოვლსა და ყინულს ხელი არასოდეს შეუშლია.

ასეთი ყურადღება იმასაც მოწმობს, რომ უკრაინის დამაგვრის შემდეგ ჩეხებს მადა აშლიათ და არც ჩრდილოელი დათვების ძლევაზე იტყვიან უარს, მით უმეტეს, ამის გამოცდილება აქვთ. ერთა თასზე უკრაინელთა ძლევაზე სულ 3 მატჩი ჰქონდათ მოგებულნი, 2 ესპანეთთან და ერთიც სწორედ „მოძე“ რუსეთთან.

მეორე თამაშში მატჩის ბედი წინასწარაა გადაწყვეტილი. თაღისიდან თავჩაქინდრულები გავეშვით რუმინელები და როგორ გვინათ, ასე ნერვებაშლილები საკუთარ მოედანზე ჯგუფის მანჩანალა უკრაინას რა ბედს დააწევენ? ერთადერთი, რასაც ჩვენს ზღვისპირელ მეზობლებს ვუსურვებდით, ისაა, რომ იმაზე ნაკლები სხვაობით წაეგოთ რუმინელებთან, ვიდრე ეს ჩვენთან „მოახერხეს“.

მასპინძელთა რიგებში რომელი გონტინეჩი, ყოფილი კაპიტანი და ვე-


ტერანი მორაგბე არ იქნება, თუმცა არ გვეკონია, სტუმრებს ამან რაიმე შედავათი მისცეს. არც, რაზვან მავროლინი და ცეზარ პოდესკუ იქნებიან. სამაგვროდ, იბილისში ტვინშერყეული და სამშობლოში გვიან გამგზავრებული ფლორინ კოროლენაუ მუქიანობს.

ლადო ფულუკიძე

<b>ჩემპიონი</b>	<b>ჩემპიონი</b>
18 მარტი	19 მარტი
ჰამილტონი. ახ. ზელანდია	ველინგტონი. ახ. ზელანდია
საუზი — რუსეთი	პარიკინსი — გულზი
	ოკლენდი. ახ. ზელანდია
	ალუსი — ტრუნიკი
	სილენი. ავსტრალია
	პარატასი — სტორმერსი
	იოჰანესბურგი. სამხ. აფრიკა
	ძაითი — არაგონი
	დურჰამი. სამხ. აფრიკა
	ზარდსი — პაილენდერსი







გიორგი ბეჭეტაშვილი პირადი რეკორდი 10 კილოგრამით გააუმჯობესა

# ბიჭებს სიძლიერე შესუბუქათ

პაპის ძალი ნობის დარბაზში გუმბინ თბილისის 2005 წლის ორდღიანი პირველობა დასრულდა. საერთო შედეგით თუ ვისჯვლებით, ევროსტანდარტებამდე ვერ კიდევ შორია, თუმცა ახალგაზრდა ძაღვების გამოხვედრებში პროგრესიც რომ ამკარად იგრძნობა, საქართველოს ნაკრების თავკაცმა ვანო გრიჭუროვამც დაადასტურა.

ნაკრების რამდენიმე კანდიდატი შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოვიდა და ყველამ საუკეთესო შედეგები აჩვენა. ერთდღიანი კონკურსში ჩართული კანდიდატი კადეტთა შორის ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზორი გიორგი ბეჭეტაშვილი (94 კგ) იყო, რომელმაც 177,5 კილოგრამი აჯრაც მის პირად რეკორდზე 7,5 კგ-ით მეტი აღმოჩნდა. მერე ორდღიანი ბეჭეტაშვილმა პირადი რეკორდი 10 კილოგრამით გააუმჯობესა.

„ბიჭების მიერ ნაკრები შედეგებით ძალიან კმაყოფილი დავარჩი — გვითხრა შეჯიბრის დასრულების შემდეგ გრიჭუროვამ — ნაკრების თითქმის ყველა კანდიდატმა პირადი რეკორდი დაამყარა. ეს მათ მონაწილეობასთან ერთად გაუმჯობესებული სავარჯიშო პირობების შედეგია. განსაკუთრებით ნაკრების მეორე მწვრთნელის, ავთანდილ გა-



კახი კახიაშვილი ნიკა თოდუასთან ერთად ყველა ჩემპიონი დააჯილდოვა

ხოკიდის დამსახურებას გამოვარჩევ. მისი და საერთოდ მწვრთნელთა ჯგუფის მუშაობის შედეგი უკვე ნათელია და, რაც მთავარია, მომავალი უფრო უკეთესი იქნება. ეს ტურნირი კორეის ქალაქ ბუსანში მისში გასამართი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი იყო. გუნდი ახლა კომპლექტება, საბოლოო შემადგენლობა კი ალბათ 27-28 აპრილის საქართველოს ლიგის ჩა-

ტარების შემდეგ გვეცოდინება“. თბილისის ჩემპიონები — რომა სარქისიანი (50 კგ), აკოვ ბაზიანი (56 კგ), გიორგი სიღამონიძე (62 კგ), კობა ობოლაშვილი (66 კგ), ალექო მელაძე (77 კგ), ნიკა თოდუა (86 კგ), გიორგი ბეჭეტაშვილი (94 კგ), ნუგზარ ხუზაურაშვილი (105 კგ) და ლევან მამისაშვილი (მძიმე) სამეზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა დააჯილდოვა.

ოთარ გალაკელიძე

# მისტარ სრულყოფილება და მის ღირსშესაძლებლობა

PACIFIC LIFE OPEN  
ინდიან უელსი მაგარსაფარი  
ქვეყნი საპრიზო 2,725 მლნ \$

**მეოთხედიანი**  
როჯერ ვიდეირი (1, შევიდარია) — ნიკოლას კიფერი (29, გერმანია) 6:4 6:1; მილარში პანასი (14, არგენტინა) — ტიმ პენანი (6, ბრიტანეთი) 7:6 (7:1) 7:5

ქალები. საპრიზო 2,1 მლნ \$  
**მეოთხედიანი**  
ლინსი დევიდოვიჩი (1, აშშ) — ნატალი დევი (7, საფრანგეთი) 7:6 (7:2) 6:4; მარია შარაპოვა (3, რუსეთი) — მარი პირსი (20, საფრანგეთი) 6:4 6:3

**კალიფორნიული** მზის ქვეშ როჯერ ფედერერი და მარია შარაპოვა კვლავაც ყველაზე ხერხეობიერად ჩოგბურთს აჩვენებენ. ამქრის პირველობაში, ვინაც ინდიანუელსობაზე შარშან ნაშოვენ ტიტულს ვერ-ვერობით არავის უთმობს, მეოთხედფინალში ბეჭითად შემუსრა გამოცდილი, თუმცა ჯამში მაინც წარუმატებელი გერმანელი ნიკოლას კიფერი.

ვიშ, რა კარგია, ვერ ხომ სეტიც არ დამთმობო, იძახდა ამ 67-წუთიანი ლაღობის შემდეგ მხიარული როჯერი და განსაკუთრებით საფარს ემადლიერებოდა, თავს მასზე დიდი კომფორტულად ვგრძნობო.

მისი წარნარი გარჯით მოხიბლული მიღეთის გარდა ფედერერს იმ დღეს ხოტბას მარია შარაპოვაც აღუვლენდა, რომელმაც თავის მხრივ აშშ-ის შარშანდელ ღია პირველობაზე განცდილი მარცხისთვის ოცდაათი წლის ფრანგ ბანოვან მარი პირსზე იძია შური. „ის მისტერ სრულყოფილებასაკითხ — ასე ახასიათებდა კაცთა ყოჩს რუსი ლერწამოგო — სამომხეტოდ ის უნაკლოდ ჩოგნაობს. თანაც რა ძალდაუტეებელია, გეგონება, ყველაფერს ერთი ბეწო დაძაბულობის გარეშე აკეთებდეს. ასე-

თი დიდი ჩემპიონის ცოცხლად ყურება მართლაც წარმოუდგენელი ფუფუნებაა.“

სხვათა შორის, შარაპოვა, ისევე როგორც ფედერერი, წლეულს მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა. ეგებ თქვენც გახსოვდეთ, ორივე მათგანს ჩოგანი ავსტრალიაზე შეუბრუნეს — პირველს სერენა უილიამსმა აჯობა, მეორეს კი მარატ საფინმა. მაგრამ ამ ერთი მარცხის წილ ფედერერი უკვე 24 გამარჯვებასა და სამ ტიტულს მოიძიეს, ხოლო შარაპოვას აქამოდელი ჩირნახული 17 მოგება და ორი ტიტულია.

ერთი სიტყვით და ერთივე გაგებით, ამთ ახლა მაგარი აკრეფილი აქეთ და მუქთად არაფრის დამთმობნი არ ჩანან. ისე კი, გუშამ მამა ტურნირის ორგზის ჩემპიონსა და ამქრის ამჟამინდელ პირველოსან ლინდსი დევიდოვიჩს უნდა რკენოდა — რომელსაც აქამდე ორჯერ შეხლია და ორჯერვე მოუდრიკავს — და, ვინ იცის, ეგებ ლინდსის გამოცდილებასა და კალიფორნიული პუბლიკის მხარდაჭერას თავისი გაეტანა...

ჰო, მართლა, თავად ლინდსი იმ დღეს შედარებით იოლად გასცდა ფრანგ ნატალი დევისს, ვისაც მუშვიდე საკარიერო დაპირისპირებაში ქელი უკვე მუშვიდედ მოახრევიანა.


სხვაფრთვ — ტიმ პენანი უკვე წინა წრეში რობერტოსთან მოგებულ მატჩის შემდეგ ჩოდა, არასტაბილურად ვთამაშობო და მეოთხედფინალში ვერც ამ არასტაბილურობას მოუხერხა რამე და ვერც მისთვის უხერხულ მეტოქეს გილერმო კანასს. ეს მათი მეექვსე გადგანა გახლდათ და უკანახიდან მოგლაჯუნე 27 წლის გაწომ ბადესთან მოსაფრე მოცდაათიწლისებულ კუნძულეს (პირველი მარცხის მერე) ზედიზედ უკვე მეხუთედ მოუგო.

არტემ ჩაჩანიძე

# აფრთხიერება ნიხნდა მტიმნის მამულში

დღეს და ხვალ საფრანგეთში, სენტ ეტიენში, კროსმენთა მსოფლიოს 33-ე ჩემპიონატი ჩატარდება, ოღონდ მას ერთი თავისებურება გამოარჩევს — უცხოზია, როგორ იასპარეზებს ეთიოპიელი ვარსკვლავი კენენისა ბეკელე დაგვეთანხმებით, ძალიან უცნაური შეკითხვაა, ვინაიდან 22 წლის ბეკელე 10 ათას მეტრზე რბენაში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია და, ასაკის მიუხედავად, უკვე ლეგენდად არის შერაცხული. ეს ჩემპიონატი მისთვის მეოთხეა, ხოლო წინა სამში მის განსაკუთრებული ბულობასთან დაკავშირებით კითხვა არავის გასჩენია.

ბეკელეს დიდი დამსახურებაა, რომ ეთიოპიელებმა კენიელთა ჩემპიონობის უწყვეტი, 18-წლიანი სვლა შეწყვიტეს. აქვე დავძენთ, რომ სწორედ კენენისა ბეკელე გახდა ის, ვინც რაოდენობრივად გააუმჯობესა მსოფლიოს უდიადესი შედეგი, ბელგიელი ემილ ჰეტემანის ზედიზედ 11 გამარჯვება. ბელგიელმა ეს 11 რეისი 1974 წლის მარტიდან 1975 წლის მარტამდე შესაღებში მოიგო, კენენისა ბეკე-



ლეს მიწვობილ გამარჯვებათა რაოდენობა კი უკვე ოცის ტოლია. ახლა კი ის ტრავიკული მიზეზი ვახსენოთ, რომლის გამოც დიდი სპორტსმენის საქმე ასე საჭოჭმანო შეიქნა: წლეულს, 4 იანვარს დაიდუა მისი საცოლე და მის შემდეგ ბეკელეს დისტანციაზე ძალები აღარ მოუსინჯავს. ამის მიუხედავად, ეთიოპიის მძლეოსნობის ფედერაციამ კენენისა ბეკელე როგორც გრძელ, ასევე მოკლე დისტანციაზე გარბენის განა-

ცხადში შეიყვანა, რაც შესაძლოა გარკვეული რისკიცაა მაგრამ მეორე მხრივ ამ ქვეყნის ნაკრებს მაინც ძლიერი გუნდი უყოლება. ასე რომ, გუნდური ოქროს ამბავი კიდევ ცალკე სალაპარაკოა. ისევე როგორც ბეკელე ორივე დისტანციაზე ირბენს შარშანდელი ვერცხლის წყვილ მედალოსანი გებრე გებრემარამი, მის გარდა კი თავის გუნდს წყვილ ქულებს აუცილებლად მოუტანს დევენე ბირჰანუც და მაინც, ამბობენ, რომ ეთიოპი-

ელთა წარმატება სრულიად მისტიკურად არის დაკავშირებული კენენისა ბეკელეს ყოფნა-არყოფნასა და როგორ ყოფნაზე.

რაც შეეხებათ კენიელს, მათი საქმე უფრო სხვანაირადაა: კენიელთა უთუოდ ძალიან ძლიერ ნაკრებში ყველაფერმა მოიყარა თავი: ავადყოფობამ, ინციდენტებმა, ტრავმებმა... და კიდევ არც ერთი მძლეოსანი კენიის გუნდიდან ორივე გარბენაში არ მონაწილეობს, მაგრამ 5000 მეტრზე რბენის დიდოსტატი, 20 წლის ელიუდ კიპჩოგე, როგორც ამბობენ, ფანტასტიკურ ფორმაშია, ხოლო დანარჩენების გვარების მხოლოდ ჩამოთვლაც საკმარისია, რათა ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნას, რა ხდება გრძელ დისტანციაზე: ჩარლზ კამათი, ჯონ ბერუიოტი, კორირი, აბრაჰამ ჩერონო, მოზეს მოსოპი და ვილბერ ფორმაშია.

შთამბეჭდავია მოკლე დისტანციათა ამბავიც: აქ კენიელთა ლიდერი უთუოდ ისაა სონგოკი გახლავთ მის გარდა განაცხადში არიან, სემი კიპკეტერი, ბრინინ კიპრუტო, აბრაჰამ ჩებილი და კიდევ

ორი სპორტსმენი, რომელთა ვინაობის ახლა დასახელებას ახრი არა აქვს, რადგან ტრავმებზე დიდის ჭორები და შესაძლოა სარბენად გადასხვაფერებული შემადგენლობა გამოვიდეს.

ანგარიშგასაწევი იქნება ტანზანიისა და უგანდას ნაკრებთა პრეტენზიებიც, ქალებში კი სურათი ასეთია: ბენიტა ჯონსონი აღმოსავლეთ აფრიკელების წინააღმდეგ. შეგახსენებთ, ბენიტა ჯონსონი ავსტრალიელია, რომელმაც თავის ქვეყანას ისტორიაში პირველად მოუტანა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

დავიძნოთ, რომ ჩემპიონატში არ მონაწილეობენ ამერიკელი და ევროპელი ვარსკვლავები პაულა რედკლიფი, დინა კასტორი და სონია ოსალივანი, ხოლო ევგეაიკუ დიაბა და ვერენე კიდანე — შარშანდელი ვერცხლის და ბრინჯაოს მედალოსნები — ისევე ეთიოპიის ნაკრებში იქნებიან, რის გამოც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეთიოპია ოქროებს მოიხვეჭს. ტრადიციულად ძლიერი იქნება იაპონიაც.


ბუბა სინარულიძე





მსოფლიო მერვე ჩემპიონის დიდი პრიზი  
საჰაინა

კვალა ლუმაში, 20 მარტი



ბრანის სიგრძე ----- 5.543 კმ  
კომლის დისტანსია ----- 56 ტრე - 310.408 კმ  
რაილა მარშინგა თაილანდის რაიონი 10 საათში

შარშან: 1 მ.შუმასერი (ფერარი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 ბატონი (B.A.R.); 4 ბარიკლო (ფერარი); 5 ტრული (რენო); 6 კულპარენი (მაკლარენი); 7 ალონსო (რენო); 8 მასა (ზაუბერი)

ფრის რეკორდი: 2004 - მონტოია (უილიამსი) 1:34.223 (211,8 კმ/სთ)

# ვილნავს უკვე ხსნიან?

ხვალ ჩემპიონატის მეორე რბოლაა - „სეპანგის“ სუპერტრეკზე მეშვიდედ გათამაშდება მალაიზიის დიდი პრიზი.

ბუქმეიკერები უპირობო ფავორიტად თვლიან არა პირველი ეტაპის მომგებ ჯანკარლო ფიზიკელას, არამედ მიხაელ შუმასერს, რომელსაც შეიძლება წელიწადი, სეზონი ასე უხეიროდ არ დაუწყია. ავსტრალიაში ჯერ იყო და თავსხმა წვიმაში კვალიფიკაციისას ისე მოეცარა ხელი, რომ რბოლის სტარტი ბოლო რიგიდან აიღო, ფინიშამდე 15 წრით ადრე კი ნიკ ჰაიდფელდთან შეჯახების გამო საერთოდ გამოუთიშა ბრძოლას.

ასეა თუ ისე, სახვალეოდ შუმის კოეფიციენტი 1,55, რაიკონენის - 7,5, მონტოიას, ალონსოს, ფიზიკელასი - 10,0, ბარიკლოსი - 11,0.


ცნობისათვის, მიხაელმა კვალა ლუმაში სამჯერ გაიმარჯვა და საერთოდ, ერთხელაც არ დარჩენილა უქულოდ, ხუთჯერ კი პოლიც მოიგო. „ფიზიკო“ ბოლო ოცწლეულში პირველი იტალიელია, ვინც სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას. პოდა, რა გასაკვირია, თუკი მადგაღვიძებული ხვალინდელ მოგებაზე ჭიკჭიკებს:

„მანქანაც და ჩვენც ჩინებულ ფორმაში ვართ და შეგვიძლია, მორიგი გამარჯვება მოვიპოვოთ. ეგაა, ტროპიკული სიცხის გამო საბურავებს დიდი ჯაფა დაადგებათ და მათ გამძლეობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული რბოლის შედეგები.“

„რენოს“ ბოსი ფლავიო ბრიატორე უფრო შორს იყურება, კონსტრუქტორთა თასის მოსაპოვებლად ვიბრძობლებით. რენოელები შარშან მესამე ადგილზე გაიყვანნენ „ფერარის“ და BAR-ის შემდეგ.

ჩემპიონატი ჯერ ხეირანად არც დაწყებულა და უკვე გაისმის ხმები, პეტერ ზაუბერი ისეთი უმადოელოა მელბურნში ფაქ ვილნეის ჩაფლავებით (მე-13 ადგილი), რომ უკვე მოხსნას უპირებსო ბრიტანულმა „აუტოსპორტმა“ მეთხველს ისიც აუწყა, გუნდის ხელმძღვანელობა ენტონი დევიდსონის მოწვევას აპირებს და მოლაპარაკებაც დაიწყო. ამ ცნობებს ზაუბერიც უარყოფს და ვილნევიც კანადელი ექსჩემპიონის თქმით, ავსტრალიაში მისი უსახური გამოსვლა არასწორად შერჩეული, რბილი საბურავების ბრალი იყო.

გუმინ პირველ ვარჯიშზე ყველას „ტოიოტას“ ბრაზილიელმა ტესტ-მძღოლმა რიკარდო ზონტამ აჯობა, მიხაელ შუმასერი მეოთხე იყო. შესვენების შემდეგ მეორე ცდაზე ზაუბერულმა ბრაზილიელმა ფელიპე მასამ იყოჩაღა, „მაკლარენის“ ახალწვეული ზუან-პაბლო მონტოია წამის მეასედით ჩამორჩა, ზონტა მესამე იყო. მიხაელმა მე-16 შედეგი აჩვენა (მასასთან წამნახევარა წააგო), ვილნევა მე-18.



გუმინ ვარჯიშისას ფავორიტთაგან საუკეთესო დრო ხუან მონტოიამ აჩვენა



# ს ა ხ ს ლ ი ს ო ჭ ა ღ რ ა პ ი ს ა ლ დ ო გ ო ა მ გ ო ბ ი მ ე შ ო ბ ა ჩ ე მ პ ი ო ნ ს ც ს ო გ რ ე ბ ი დ ა ნ

მსოფლიოს მერვე ჩემპიონი მიხეილ ტალი ყველა სხვა ჩემპიონისგან ჭადრაკისადმი თავისი მიდგომით გამოირჩეოდა. მას ლოგიკური სვლები არ უყვარდა და ამის თაობაზე ერთხელ თქვა: ჭადრაკში ყველაზე მეტად ალოგიკურობას ვაფასებ, ირაციონალიზმს, აბსურდს. ერთი სიტყვით, ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ის მომენტიცაა, როცა დაფაზე კათეტი ჰიპოტენუზაზე გრძელია. გეომეტრიის სახემოდღვანელოდან: ჰიპოტენუზა ყოველთვის გრძელია კათეტზე



მიხეილ ტალი  
1936-1992

## ორი უიხილი

ბაქოში, კასპიის ზღვის სანაპიროზე სეირობისას, ტალს უცნობი მიუახლოვდა და უთხრა: იცით, თქვენ ძალიან გავხართ მიხეილ ტალს, ოღონდ ის უფრო სოლიდურად გამოიყურება.

— კი, ვიცი — თავი დაუქნია ჩემპიონმა — ყველა მაგას მეუბნება.

## რჩევა

ერთმა გროსმეისტერმა ტალს რჩევისთვის მიმართა, დღეს ტელევიზიაში ვარ მიწვეული და რაზე ვალაპარაკო.

— კარგი იდეა მაქვს. ხვალ რადიოში ვარ მიწვეული და ხალხს ურჩიე, მომისმინონ.

## ტალი დანებდა

ერთ-ერთ საჯარო ლექციისას ტალს დარბაზიდან წერილი მიაწოდეს: ახლა მე მესამე თანრიგი მაქვს. თქვენ და ფიშერს 24 პარტია რომ მოგიგოთ, რომელ თანრიგს მომცემენ?

ტალმა უპასუხა: თუ თქვენ ფიშერს 12 პარტიას მოუგებთ, მე ჩემს 12 პარტიაში უთამაშებლად დანებდებით.

## უამატი ლიტერატურის გაგებითი ზე

ტალი იმ დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო, მაგრამ სკოლაში ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობას მაინც აგრძელებდა. ერთხელ დაინახა, რომ უკანა მერხზე ორ მოსწავლეს ვიბის ჭადრაკი გაეშალათ

## ორი ვიხილი

სიცოცხლის ბოლოს მძიმედ ავადმყოფ ტალთან ლენინგრადელმა გონა მარინა ცხოვრობდა. ტალის მეგობრებს მარინა არ უყვარდა, თუმცა მარინას უხომოდ უყვარდა ტალი.

ჩემპიონის გარდაცვალების მერე მარინამ ვილაცისგან შეიღო გაიხინა და მიხეილი დაარქვა. ამბობენ, ტალის სიკვდილის მერე მარინას ერთადერთი შეილი მიხეილი იყო და აღარც გათხოვილა.

## ცოლი ტალის ხათიმი

ტალის პირველი ცოლი სალი დასწავლად განქორწინების მერე ბელგიელ ბიზნესმენს ვო კრამპრს გასცა კრამპრმა იქამდე ტალის თავიანთსმელო იყო და როცა სალი გაიქცო და გაიგო ვინც იყო, გაიფრთხილა დარბა. სალის მეგობრმა იხსენებენ, რომ სალის ხმრად ექვემდებარებოდა, რომ სალის ხმრად ექვემდებარებოდა, რომ სალის ხმრად ექვემდებარებოდა.

## რუმს დაცვა უნდა

მავან რეჟისორს დოკუმენტური ფილმის გადაღება უნდოდა მსოფლიოს ყველა ჩემპიონზე და ტალს ინტერვიუსთვის მადლა ტალმა, როცა გაიგო რამაც იყო საქმე, რეჟისორს უთხრა: იმედი მაქვს სტუდინისგან უკვე აიღე ინტერვიუ

## არტემ გეზაძე

<b>ინგლისი</b> <b>ჩემპიონატი XXXIX ტური</b> <b>ვისტ პეში 2:2 ლესტერი</b> <b>პირველი ლიგა XXXIX ტური</b> <b>ბრანდერი 5:0 პიტბორო</b>	<b>ავსტრია</b> <b>პირველი დივიზიონი XXIV ტური</b> <b>აუსტრია (ლ) 0:0 ლიოპანი</b> <b>ბრატკორნი 2:6 რიდი</b> <b>კაპფენბარგი 2:2 ალტახი</b> <b>პირენაი 1:2 უნტერზინგენი</b> <b>ლინცარი 0:0 ვიორგლი</b>	<b>პოლანდი</b> <b>I დივიზიონი XXV ტური</b> <b>დან პოსნი 0:3 როდა</b> <b>II დივიზიონი XXV ტური</b> <b>აკალორნი 1:0 ვოლანდამი</b> <b>ვინდამი 1:1 კამპური</b> <b>დორდრახტი 2:1 ვინდოპინი</b> <b>იგლსი 0:3 მესელსიორი</b> <b>პირაკლსი 3:2 ვიანი</b> <b>საპარტა 1:1 მანსტრინტი</b> <b>ბალსტარი 1:2 ოსი</b> <b>ვენლო 2:5 ზოლო</b>
<b>გერმანია</b> <b>მეორე ბუნდესლიგა XXVI ტური</b> <b>გურგაუზანი 1:0 ალანი</b> <b>დუნსბურგი 1:1 აუა</b> <b>ერფურტი 3:0 ტირი</b> <b>ჩრდილოეთი რეგიონალლიგა XXV ტური</b> <b>უნიონი 0:0 ზანაბ პაული</b> <b>დუნსალდორფი 0:2 კილი</b> <b>სამხრეთი რეგიონალლიგა XXIII ტური</b> <b>ჟვალენდორფი : აუნსბურგი კალო</b> <b>აალანი : მინცი (მ) კალო</b> <b>ზიგანი 0:0 მიუნანი (მ)</b> <b>ჟოფენაიმი 2:4 ფოიხტი</b>	<b>საფრანგეთი</b> <b>II დივიზიონი XXX ტური</b> <b>ანაი 1:1 კრები</b> <b>შატორუ 4:1 ლე აპრი</b> <b>დიმონი 0:2 ლე მანი</b> <b>განაბი 3:1 ნიორი</b> <b>ლავალი 2:1 ბრასტი</b> <b>ლორიანი 1:0 კლარმონი</b> <b>მონალიე 1:1 ბანიონი</b> <b>სეაანი 1:2 ბრენოელი</b>	<b>პორტუგალია</b> <b>სუპერლიგა XXV ტური</b> <b>მარიტოზ : მიმარაში გუან დამაურა</b>
<b>ირლანდია</b> <b>პირველი დივიზიონი XXV ტური</b> <b>გოპინიანი 1:1 შიროკი</b> <b>ბარი 2:1 სენტ პატრიკი</b> <b>დროუდა 0:2 დერი სიტი</b>	<b>გელგია</b> <b>იუნიონალიგა XXV ტური</b> <b>მონსი 1:2 ბანკი</b>	<b>თურქეთი</b> <b>სუპერლიგა XXIV ტური</b> <b>დანიზლი 2:0 ვინერაპაჩი</b>
<b>აშენაგური გატყევი</b> <b>საუდის არაბეთი 1:4 ფინეთი</b> <b>თურქეთი 3:1 სომხეთი</b>	<b>გოლონეთი</b> <b>I ლიგა XVIII ტური</b> <b>პრაკოპია 0:0 ლანა</b>	<b>უგუიციარია</b> <b>ჩელენვლიგა XXIII ტური</b> <b>გულე 1:3 კიასო</b>



REUTERS ჩელტენეზიდან



# ირლანდიელი ჩელტენეზი

ჩელტენეზების სანადირო ფესტივალისა და დოლის გამო აღრუც ვიამბობდით. თღონდ, ამ ფოტოთი უნდა გაძოიციხთ, რომ დოლზე ირლანდიელებიც მრავლად ყოფილან. ირლანდიელის გამოცხობა კი არ ჭირს მაშინ, როცა წმინდა პატრიკის დღეა: კათხა ვინესი და მწვანე ფერი, ან სამყურა სამოსზე.

# პარსკვლავთა გარემოსვაში

მართლაც და დიდი მზადებაა მალაიზიის დიდი საფორმულო პრიზისთვის. ბევრ ახიელ ვარსკვლავს მოუყრია თავი კუალა ლუმპურში. „ფერარელები“, მიხიელ შუმახერი, რუბენს ბარიეკლო და მათი პრინსიპალი უან ტოდი მსახიობთა გარემოსცვაში არიან: კენ ვატანაბე, მიშელ იეთ და, რა თქმა უნდა, ჯეკი ჩანი.




REUTERS კუალა ლუმპურიდან

# ხანტა მანსიისკი

დასავლეთ ციმბირში, ხანტე მანსიისკში ბიატლონის მსოფლიო თასის ფინალური ეტაპი მიმდინარეობს. სურათი ძველია: რუსეთში სამხედრო ფორმის და ძაღლის გარეშე არაფერი გამოვა.



REUTERS ხანტე მანსიისკიდან



# ისებ მოსკოვი, ისებ ვინული

მოსკოვის ყინულზე კი ფიგურული სრილის ჩემპიონატი ვრძელდება. ტატიანა ნავკა და რომან კოსტომაროვი კარგ ხასიათზე ასრულებენ ცეკვის პროგრამას. ბულოვარელები, ალბენა დენკოვა და მაქსიმ სტავისკი კი ისე ჩაზვევიან ერთმანეთს, რომ ვნება მაყურებლებისთვისაც გადაუდიათ.



REUTERS მოსკოვიდან

**სარბიელი**  
საორტული გაზაბითი

გამოიცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან

გამოლის ორგანიზაცია,  
სამშაბათს, ოთხშაბათს,  
ხუთშაბათს,  
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შირვანიანი  
დირექტორი გიორგი ოძროშაძე  
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე  
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი,  
გიორგი ღარჯანიანი, ვიორჯი ვაშაყიძე, სოსო კოტორეიშვილი,  
ლადო ხომერვი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: ვაჟა ახალაძე, ლევან კლავაძე  
ოთარ მალაქვიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა ვიორგობანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,  
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისხილი,  
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,  
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზბეგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი – 79, საფოსტო  
წაბითი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieri@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieri.com.ge>